სილი ქარვის კალასი! / დიდი შუადღის ავტორით დაეკარგებით...“. სწორედ ეგზოტიკურ რითმებზე კალასო - კალასი დაყრდნობით ლექსმცოდნე თამარ ბარბაქაძე ასკვნის (მისი განმარტებით, „კალასო“, როგორც მუხის ხე წყალში დგმით რკინასავით გამაგრებული, მამრის სიმბოლოა, ხოლო „ქარვის კალი“ - ქალურ საწყისს განასახიერებს), რომ „დიდი შუადღე“ აღმოსავლური პატრიოტიკით დასავლური მითოლოგიიდან ნასესხები პანისა და ნიმფის შუადღის შეხვედრის რემინისცენიაა (თ. ბარბაქაძე, გრიგოლ რობაქიძე. 13 სონეტი). რობაქიძე მარმაცებით იყენება რელიგიურ მასალასაც. გავიხსენოთ „მინის საფული, ხორალი მისტრიიდან „ჯვარი ვახისა“, „მინიდა ნინო“, სადაც ნინიდანობისა და ეროტიზმის კონცეპტების ავანტ უშველო დასავლურებს ვეგდევა: ქალსული ნინო! / მოდიხარ ჩრდილებით; / დალურსულ ფოთლებში შის თვალი დაღვარული. / ვით რკინა ხორასანის - / ჩვენც გულდაღვარული / შენ წინ ვეფინებით ელვარს სიყვარულით... შენ გავლერება ვახნარის ფურცელი. / მოგელის მარადის დედული ვენახი. / და ოდეს გიბილავს: ქორტამანოს, ირეც, / ვით წყაროს მუცელი - / რომელსაც დავეცმა დედალი ირემი...“

ცნობილია, რომ ევროპული მოდერნიზმის მითოლოგიური პლანი რუსული „ვერცხლის საუკუნის“ მიერ საკმაოდ ბუნდოვანი მისტიკით იქნა გართულებული. დიონისეს თავისი ფილოსოფიის ცენტრალურ ფიგურად მიიჩნევს, მაგალითად, ვიარ. ივანოვი, 1907 წელს გამოცემული ლექსების კრებულის, „ეროსი“ ავტორი. დიონისე მისთვის თავისუფალი შემოქმედების მეტაფორადაც აღიქმება. დიონისის ცნებეცა, ანუ სასიცოცხლო ძალა, ე. ივანოვის მიხედვით, ევრტიკალი, მსხვერპლის გამაღვება და ეროტიკული. ყველა ქალი პოტიციური „ახატი ქალი“, იგივე დიონისეს მახურია, რომელიც ოჯახთან, როგორც სამყაროსეული კავშირის მოძველებულ ფორმასთან, ერთად უნდა გარდაიქმნას. აი, მაშინ იქცევა ეს ოჯახი ახალ თუხად (იბანიძე), მასში კი ეროსის ახალი ტიპი განსხვავდება. მოდერნიზმის ამ იდეის რეალიზებას რუსი ფილოსოფოსი თავის მეფლესთან, ლილია ზონიფედა-ანიბალიან ერთად ყოფით დონეზეც ეძლეოდა, თუმცა ცვალებადი ნარმაცებით. რუსული მოდერნიზმის მიერ დიდი იდეოლოგი. სოლოვიოვი კი გოეთესგან ნასესხები „მარადიული ქალურების“ ცნებას სოფიის, ანუ ღვთაებრივი სიბრძნის, მარადიული სულით მსგავლავს. მასთან მიუკარგულობის, მოუხელთებლობის, თითქმის უსიყვარლობის ბოლოდით, Fleur-ით, მექულებ ეს იდეა როგორღაც ინდივიდუალობის ნიშნებს იძენს და აშკარად გამოხატულ ეროტიკულ ბასათს ავლენს. ამას დაგვიკანმუნებს თუნდაც სოლოვიოვის მიმდევრის, ალექსანდრ ბლოკის, ლექსების ცნობილი ციკლი მიძღვნილი „მშვენიერი ქალბატონისადმი“. თუმცა უფრო სწორი იქნებოდა ყურადღება ამ მხატვრული სახის ბლოკისეულ ტრადიად ტრანსფორმაციაზე გავყვამახვილებინა: ა) „მშვენიერი ქალბატონი“, ვლ. სოლოვიოვის სოფიის, იმავე ღვთაებრივი სიბრძნის, ანარკლი, რომელშიც ახალგაზრდა ბლოკის ეროტიკული სწავა (თომლენი) გამოხატული; ბ) საეჭვო


რეპუტაციის „უცნობი ქალბატონი“ (ნეზნაკომკა); გ) დაბოლოს, რუსეთი, როგორც ახლობელი, სასურველი ქალი, რეალისტური, თუმცა სულღიმიერებული პოეტური სახე: *O, русь моя, жена моя, / До боли ясен нам скверный путь...* პოეტური იდეალის მხგავლისი „გამიწიერება“, თუ გაგიტვალისწინებთ ქართულ პოეტურ ტრადიციას, შეუძლებელი იყო (ჩვენთან სამშობლო მხოლოდ დედასთან ასოცირდებოდა), ასე რომ, ევროპიდან მოსულ ყველა სხვა ახალი ლიტერატურული მიმართულების მსგავსად, „გამიწიერებაშიც“ აქ ქართული ელფერი მიიღო.

თავისთავად მრავლისმეტყველია ის რეაქცია, რომელიც საზოგადოებას ცისფერყანწილი პოეტის პ. იაშვილის დარღვიულ ციკლზე შეჰრია. ლილი ავალიძეც ყურადღებას იმაზე ამახვილებს, რომ „დარიღვიული ციკლი კარგად მისადაგვა სიმბოლიზმის დოგმატს“, ... თუმცა პაოლომ იგი მზის სიცოცხლის დამამკვიდრებელი სინათლით გაანათა... (ავალიძე, პაოლო იაშვილი, 2017). შეიძლება ასეც ითქვას, ჩვენს ლიტერატურულ სივრცეში ეს პროცესი ყოველგვარი მისტიკურობის გარეშე განხორციელდა, უპირატესად წარმოსახვის დახვეწილი თამაში და სწორედ ესაა არსებითი მომენტი. „მარადიული ქალურობა“ კი მოდერნისტული კულტურის, განსაკუთრებით კი ფროიდიზმის გავლენით, დარიღვიულ ციკლში სიაშვინების ობიექტად და წარმოდგენილი, თუმცა პორნოგრაფიამ არ და ეერ გადადის, რადგან ყველაფერი ისე და ისე მოდერნისტული ესთეტიკის დარღვევშია მოქცეული. თვით „დარიღვი“ (როგორც ეს ჩემთან საუბარში ამ ისტორიასთან პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულ ელენე ბაკრაძეს აქვს ნათქვამი), დორიან გრეისგან უნდა იყოს წარმოშობილი და ესეც ცისფერყანწილებისათვის ოსკარ უილდის, როგორც უპირობო ავტორიტეტის, მნიშვნელობას ადასტურებს.

მიწაგახად შეუბოძევი ქალი, რომელიც ეპატაჟურობით გაამართლებდა „პირველთქმის“ ავტორის მორწმუნებას „გეგუარდელ ქალი ვნებიანად“, ამკარად სჭირდებოდა „ცისფერ ორდენს“. ამიტომაც იქმნება პაოლო იაშვილისეული ელენე დარიღვიის ლიტერატურული მისტიფიკაცია, რომელმაც არა მარტო გამოჩენისთანავე შექმნა აქამდე არსებული პოეტური თავგასულობის პრეცედენტი, არამედ XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისში ქართველი ქალის ზნეობრივი დაქვინება და გადაგვარების მაცნედაც კი იქცა. „უკანასკნელი მოგისხენი ტანსაფარავი, / დადუმებულ მხრებს ელანდება შეხება წელი, / საენებო გზაზე სიბნელეა, არ სწანს არავინ, / სასიზნო ლოცვა გიგალობდ უკანასკნელი... მზის აყვავება გამოშტაცებს მწველ ადამიანს, / (ჩემს შეყვარებას მწუხარება კვლავ მოემანა) / და დაღონებული ვაიის კონცანს, კონცანს მამიანს, / ვარდისფერ ენით მომადგონებს გამოთხარი კატა“. ის, რომ პოეტის მიერ ამ და მსგავსი ლექსების დეკლამაციის დროს დარბაზს რამდენიმე ქალი ტოვებს, რომ გელათში ექსკურსიის დროს ქალეთი თავიანთ პროტესტს იმით გამოხატავენ, რომ უარს ამბობენ ამ ალერასსანილობის მკადგებლებთან ერთად მგზავრობაზე, ისიც, კიბა აბამიძეს, რომელმაც გონივრულად განჭერბა „ყანწილთა“ ლიტერატურული მომავალი,

„პორნოგრაფიის ტიპის დამცველს“ უნდა შეეძლოს ფასიულობათა გადაფასებაზე საზოგადოების ჩვეული რეაქცია და იმავე რანგის მოვლენა, როგორც ტ. ტაბიძის ლექსში პაოლოს სახელით დანტის ან შექსპირის უარყოფის მცდელობა („პაოლო იაშვილს მომეწყინა ყვითელი დანტი / ეპატედი შექსპირს, მაგრამ ფარდა... შექსპირს უარი!?! რა ვა, რომ ჩემთვის ბეთპოვენი მხოლოდ ერთი არი, / დრომ წარსულმა ვერ გადმოცა მე ანდაშტა...“). თვით ის ფაქტი, რომ ყანწილთა შორის სწორედ პაოლო იაშვილი სქესის არაორაზროვანი გაორებით სრულიად ახალ პლასტს შლიდა და ტაბუარების და აკრძალვების მიღმა იხედებოდა, საზოგადოებისგან განსხვავებით, აღრმავებდა სხვა შემოქმედთა პოეტურ ფანტაზიას, ქმნიდა მის ყოვლისმომცველობასა და სისხვსე. ამგვარ შემოქმედთა შორის იხედ გამოირჩა ჩვენ მიერ არაერთგზის ნახსენები ი. გრიშაშვილი, თავისი კოდირებული ლექსით „ქალს უღვამებო, კეპოთ და ჯოხით“ (1922), რომელიც ამ უკანასკნელ პერიოდში იხედ და ისევ ბარბაქაძემ ამოსინა და ასეთი შეფასებაც მისცა ერთი შეხედვით, „ეს ლექსი ტრადიციულად ქალს ეძღვნება, მაგრამ თვით ეს ტრადიციის აღრმავება იხელი, ევროპულად მოტივირებული ყაიდისა...“ იგი „პაოლო იაშვილის მისტიფიკირებულ ორეულს ელენე დარიღვი, უნდა ეძღვნებოდეს...“ ასე რომ, „პაოლო იაშვილი // ელენე დარიღვი - ცისფერყანწილთა პოემის ნაწილი... იოსებ გრიშაშვილის ამ ლექსის მუზა“ (იოსებ გრიშაშვილის ტრეცეტიბით დანიშნული უცნობი ლექსი, 2017).

თუ გადავხედავთ საუკუნის დასაწყისის სოციალურულ ცხოვრების დინამიკას, იგი არაერთი ფორმით, მათ შორის ქალთა პაბილუსითაც, ამტოდებდა მოდერნიზმის ყოველდღიურების სფეროში შეღწევადობის ხარისხს. სწორედ ქალის სურვილი, საჯაროობა მიეწიებინა საკუთარი ინტიმისთვის, ერთი მხრივ, ბადებდა საკმაოდ უკომპლექსო მანდილოსნებს, რომლებიც უფვე თბილისის კაფეებსა და ყავახანებს ამშვენებდნენ, მეორე მხრივ კი, ქმნიდა პოეტებს, რომლებიც მზად იყვნენ ეგემდნათ დარიღვიული გამოცდილება, რათა იგი შემდგომ ლიტერატურულ ფაქტად ექციათ. ერთი ასეთი ქალბატონის, ელენე ბაკრაძის, მისწრაფება იმთავითვე განწირული აღმოჩნდა. თანაც ისე, რომ უკამპლექსოების ექიმ ჩვენს დრომდე მოაღწია... ამ მხრივ უფრო იბილიანი გამოდგა ნიქიერი პოეტი ნინო თარიშიძე, რომელიც ასეთი დახვეწილი პოეტური ფორმით გამოხატავდა თავის უფლებებელ გარდასახვას: „ვიცი, რომ მზილად არ მომცემენ“ „ვეფრისტეასას“ / არც წასაღებად დაშეცევენ ქირმანია მალეებს, / არც ქართულ კაბას ჩამაცევენ ჯვარია სანერად; / არც ვერცხლის ქამარს მომადგონებ სვედიან წელზე...“. მომდევნო სტრუქტურის კი, როგორც ამბობენ, შყავს თავისი პირდაპირი ადრესატი (თუ ადრესატები, პაოლო იაშვილი და იოსებ გრიშაშვილი), თუმცა ეს მხოლოდ ამყარებს ამ მოსაზრებას, რომ ელენე დარიღვიული ეგზალტაციის ამ ტრადიციური ძალის ზემოქმედება ძლიერი იყო: „ქმნიანამაბეტი კიდევ მაკოცებენ, / დარდებს გავაცილებს ვნების ქარავანი, / დამფრთხალ სონეტებად ფარდა



აქცეობა / და ხარ პოეტებში ლექსის ფალაქიანი...“,
ან კიდევ „მე შენზე ვფიქრობ დროგამოშვებით, /
როცა უქოლგოთ დავდივარ მზეში. / ჩვენ სასტიკ
სურვილს არ მოვეშვებით / და მიაღერებ, როგორც
რამზესი...“ ფოთლები ნაზად უკრავენ თარებს, /
შენი ბელები მოვლენ ირმებად, / სიცოცხლეს ვერ-
ვინ ვერ დაამთავრებს, / უთუოდ ყველა გადაიარე-
ვა“. და მართლაც, პირველმა ქართველმა მოდერ-
ნისტებმა ისე დამუხტეს ჰაერი უჩვეულო პოეტი-
კის, მხატვრულ ფორმათა მრავალფეროვნების, შე-
მოქმედებითი თვითრეალიზაციის საგრძნობლად
გააქტიურებული შესაძლებლობებით, რომ იქმნება
ეგზისტენციალური საზღვრების გაფართოების მო-
ტივითი ძალზე მნიშვნელოვანი ილუზია. ნინო თა-
რიშვილის პოეტური „აღსარებები“, ფიქრობთ, ერ-
თი ასეთი მშვენიერი ილუზიის შედეგებია. ის, რომ
მისი პოეტური ენერგია მალევე ჩაქრა, მეტყველებს
არა მარტო საბჭოთა ცენზურის სიტუაციაზე, არა-
მედ მისი შთაგონების მაინსპირირებული ხმებითა
და ფერებით სავსე გარემოს გაქრობასაც. „ჩვენ თუ
ორივეს გრძნობა დაგვცნობდა, / დავურავთ გან-
ცდება, ვით მწვანე მტევანს, / ვნება ავისხათ ტანზე
ჯავრებად / და წინ გავესწროთ ადამ და ევას...“ -
ნინო თარიშვილის ამ უკანასკნელმა სტრიქონებმა
ეროტიკის მხატვრული ადაპტაციის ნიუანსებში
გაერკვევისთვის ჩვენთვისვე არულიად მოულოდნე-
ლად ამ პერიოდის ქართული რეალობისგან საკმა-
ოდ დამორჩეული, თუმცა ეროტიკის პრაბლემას-
თან უშუალოდ დაკავშირებული მწერლის შემოქმე-
დების ალუზია შექმნა. ეს მწერალი დევიდ პერბერტ
ლოურენსია.

უკან დაბრუნების, ადამიანს და ევას პირველყო-
ფილ სიმშინდესთან მიახლოების დაახლოებით ასეთ
ტრეპტორიას სახავდა XX საუკუნის პირველი ოც-
ნლეულის იქნებ ყველაზე სკანდალური ინგლისე-
ლი მწერალი დევიდ პერბერტ ლოურენსი (გარდ. 1930
წელს), ავტორი საკულტო ეროტიკული რომანისა
„ლენდი ჩატერლის საცვარელი“ (1928). ნიგნში, რო-
მელშიც გაერთიანებულია მყარი არგუმენტაციითა
და პირდაპირობით გამორჩეული ფილოსოფიური
ესეები „ფსიქონალიზი და ქვეცნობიერი. პორნოგ-
რაფია და უბამსობა“, ლოურენსის ასეთ მოსაზრე-
ბასაც ვეცნობთ: „...რაციონალურობა დელი ცნო-
ბიერება რჩება ჩვენი მთელი ცხოვრების მანძილ-
ზე და იქცევა ჩვენივე ცნობიერების ძლიერ ფეს-
ვად. გონება კი - ყვავილია, რომელიც ამ ფესვზე
ამოიზრდება. ესაა კულმინაცია და იმედგეროულად
მივხვან: საბოლოოთი მიზანი არა ცოდნის ფლობაა,
არამედ ყოფნა. კაცობრიობისთვის ყველაზე სახი-
ფათო აღმოჩნდა დევიზი „შეიცან თავი შენი“. საკუ-
თარი თავი უნდა შეიმცნო უფრო იმიტომ, რომ იცო-
ის, რაც ხარ, „არ განემაგავსო საკუთარ თავს“ - აი,
ყველაზე მნიშვნელოვანი დევიზი...“ (D. G. Lou-
rens. Психонализи и бессознательное. Порнография и
непристойность, 2003). და ერთიც: ზემოთ ნახსენებ
რომანთან დაკავშირებული კიდევ ერთი ლოურენ-
სისეული მოსაზრება: „მე ყოველთვის მსურდა ინ-
ტიმური ურთიერთობა ქალსა და მამაკაცს შორის
ნარმოქმანა როგორც ბუნებრივი და ძალიან მნიშ-
ვნელოვანი და არა სამარცხვინო და მეორეხარის-
ხივანი რამ... ეს ურთიერთობები ისევე მშვენიერია
და ამაღლებული, როგორც ადამიანის მიწაგანი გა-

მიმღებელი „მე“ „ლოურენსი, რომელიც გარკვეულ ინტერესს იჩენდა თავისი უდიდესი აღმოჩენით, ფსიქონალიზით, მოდერნიზმის მკვებათ ფროიდის სწავლებისადმი, მასზე უფრო შორს წავიდა, ანუ ქვეცნობიერის ყველაზე ფარულ შრეებს მიღმა გაიყვანა, რითაც ადვილად დაიღწია მოდერნიზმის სახეის ეტაზე დეკლარებული მოთხოვნა „პალტოს ღილს მიღმა მელნევის“ შესახებ. თუმცა საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ის, რომ ეროტიზმისა და პორნოგრაფიის გამყოფ ხაზზე განუხრელად ისე იარა, რომ აქამდე სახელგატეხილ „ქვენა გრძნობებსა და მისწრაფებებს“ დიდი მხატვრული დამაჯერებლობა შესძინა, აიყვანა ისინი ესთეტიკური ტკბობის სიმღლეზე (აქ ისევ გავისცნობთ გლავატკობის „გეტარა“). ამასთან თავისი პროტესტი არსებული რეალობისადმი ფროიდთან თითქმის ერთფეროდ ჩამოყალიბდა და მას „კულტურით უტყაოფლეთ“ (სწორედ ასე ერქვა ფროიდის მიერ 1930 წელს შექმნილ ნაშრომს) სახე მინათა.

ქართველი პროზაიკოსები (მ. ჯავახიშვილი, გრ. რობაქიძე, კ. გამსახურდია), რომლებიც ევროპის უნივერსიტეტებში ისწავნდნენ ლექციებს, მართლაც რომ, შუბლით მეცხნენ მოდერნიზმის „მთოსნე მოკულელ დროს“, საკმაოდ თამამად შეიჭრნენ ქვეცნობიერით პროვოცირებული ადამიანის უმართავი გრძნობების სამყაროში (რაც, როგორც აღვნიშნეთ, პრიციპულად არ იყო აქამდე ასე თუ ისე ნაცნობი ფსიქოლოგიზმი), თუმცა ლოურენსის მინაგანი თავისუფლების მსგავსი კონდიციისთვის (რაც ჩვენი კულტურის იმდროინდელ კონტექსტში მეუძღვებელიც იყო), არ მიუღწევია. ამის მიზეზად ზოგიერთი ლიტერატორი ზემოთ მასხმენ „სირცხვილის კულტურას“ ასახელებს, თუმცა ქართველის ფსიქიკაში ღრმად ჩახედული ამ ავტორებისთვის (გავისცნობთ მათი მწვავე კრიტიკული პათოსის სხეზე პუბლიცისტური წერილები) მსგავსი ჩარჩოები სერიოზული დამბრკოლება ვერ იქნებოდა. სამისოდ ზედმეტად დიდი იყო ამ „მონოკლიანი ჩოხისნების“ (და ეს განსაკუთრებით კ. გამსახურდიანზე ითქმის) ინტერესი მოდერნისტული მსოფლმხედველობის ფილოსოფიურ-ესთეტიკური იდეებისა და პრაქტიკისადმი. ვფიქრობ, აქ უფრო სხვა მიზეზებმა იბნა თავი, რომელთა გარშემო საინტერესოდ საუბრობდნენ „ლიტერატურული გაზეთის“ მიერ მონყობილ მოდერნიზმსა და პოსტმოდერნიზმის პრობლემატიკისადმი მიძღვნილ დისკუსიებში. ქ. ქარუმიძე, პ. ჩხეიძე და კ. ბრეგვაძე. (ლიტ. გაზეთი, 2017, N4:10-13). გარდა ამისა, რომ ქართულ მწერლობაში მოდერნიზმისადმი მზაობა, ფაქტობრივად, პირველი მსოფლიო ომის დროს გაბოზიბა, იგი კულტურის სხვა სფეროებშიც (სხვათა შორის, ფილოსოფიურ-ესთეტიკურთან და ფილოსოფიურთან ერთად ეკონომიკურ ბარიენებშიც) ანალოგიური გარველებისკენ მონოტონუზებას შეიცავდა. იყო მოლოდინი, რომ ასეთი კატასტროფული და მასშტაბური ომის დამთავრებას რევოლუციური კატაკლიზმებიც მოჰყვებოდა. ამიტომაც მომავლი მსოფლმხედველობრივი, სტრუქტურული, სახელწოდებები ცვლილებები არა ემიზოდურად ან ატომიზირებულად, არამედ ერთდროულად და მასშტაბურად უნდა რე-

ალიზებულიყო (გ. ქიქოძე). ეს, მართლაც, იყო ევროპული ორიენტაციის სერიოზული მოდერნული პროექტი, რომლის პრაქტიკულ დადასტურებას ქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა წარმოადგენდა („სწორედ იმ ხანებში პოლიტიკური „მოდერნიზმი“ განხორციელდა - პირველი რესპუბლიკა მოდერნული პროექტი იყო“ - კ. ბრეგვაძე). გ. მორჩული შემოქმედებითი ახალბაობა საკუთ თავს ამ პროექტის განუყოფელ ნაწილად აღიქვამდა. აქედან მათი მოღვაწეობის მრავალპლანობიანობა (აკი ბევრ მათგანს მოგვიანებით რენესანსული ტიპის მოღვაწეც უწოდეს), მტკიცეული, მაგრამ სჭირი გადასვლა, ვითვით, მწერლობიდან პუბლიცისტკაზე და პირველ. ამ პირობების გათვალისწინებით, არც ის უნდა იყოს გასაკვირი, რომ მ. ჯავახიშვილმა მისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი დროის ნეორეალიზმი აირჩია, განსხვავებით რომაქიძე-გამსახურდიისგან, რომლებიც თავისი მწერლური ტემპერამენტის შესატყვისი მოდერნისტულ ტიპიკას აკვიდრებდნენ.

მწერალი ხ. ქარუმიძე, რომელიც ერთგან ქართულ მწერლობაში ეროტიზმის თემის შესახებ საუბრობს, სამართლიანად უწოდებს რომაქიძეს მოდერნიზმის „განსიეტყველებს“ და გამსახურდიასთან ერთად „მათი წარმოსახვის თამამ თამაშს, ერთგვარი მანერნიზმით მოწოდებულს“. მოდერნისტული ხელოვნების მსოფლმხედველობასთან უზულოდ დაკავშირებულ, მის სახურებში მოქცეულ მხატვრულ პრაქტიკად მიიჩნევს. თუმცა აქვე მიზეზი აღვნიშნავთ შესახებ აცხადებს: „ჯავახიშვილიან „საფრთხილი ავგავსებულს“ სქემა იმდენად ჩაჯდა, რომ ეროტიკა გამოირიცხა სიყვარულის თემიდან“. ეს შეფასება, ვფიქრობთ, დასაზუსტებელია, რადგან ნაკლებად მიესადაგება „ეკას“, „უპატირობის“, „უპატიად დიდგვანას“, „მუსუსის“ თუ „ოქროს კბილის“, თუნდაც „ცოფიანის“ ავტორს, რომ არაფერი ვთქვათ „ოქროს საყვარლის“ და ისევე საუბრობს რომანზე, როგორც „ჯავახი ხიზნება“, რომელშიც ე.წ. პირველი პლანი, სასიყვარულო სამკუთხედს რომ გადმოშლის, ეროტიზმისა და სქესის საკითხების ძირვესიან ცოდნას ეფუძნება. ნიშნადობივია, რომ ქართული მწერლობის არაერთ ნიმუშთან ერთად ჯავახიშვილის „ეკას“ ზოგჯერ „ექსპლიციტული ძალადობის ქრისტი გატარებული სექსუალობის“ გამოვლინებად მიიჩნევენ (ზედაია, სექსუალური ძალადობის შესახებ ქართულ ლიტერატურაში). თუმცა ეს თავისთავად საინტერესო მოსაზრება მინც ცალმხრივი გეგონია. გარდა ამისა, ჩვენ მოდერნიზმით პროვოცირებულ იმ ლიტერატურული მოვლენებზე გვამხილებთ ყურადღებას, სადაც ძალადობა, როგორც სამართლებრივად დასავადი ქმედება კი არ არის ინტერესის ობიექტი, არამედ მეგრძნებათა და განცდათა მთელი ის გამა, რომელიც ეროტიზმის კლასიფიკაციას ეფუძნება. რაც შეეხება ფროიდისთვის გავლენის ჯავახიშვილის ადრეულ პროზაზე, ამის შესახებ „ოქროს კბილისა“ და „უღრმესი“ მავალიშვილზე საფუძვლიანი ანალიზი მოგვცა თ. დოიაშვილმა წერილში „მიხელი ჯავახიშვილი და ფსიქონალიზმი“ (ქრ. ლელ-

ვარი, 2005). ყურადღება მასში ჩვენთვის საინტერესო კუთხითაცაა გამახვილებული: „მიხილეთ ჯავა-იმუნიტის მიერ დაზარალებული სიცვარულნი იგარძნობა ერთგვარი სინთეზი ტრადიციულის და იმ სახეობისა, რომელიც ეპოქამ მოიტანა და რომელსაც მხარს უჭერდა გარკვეული მეცნიერულ-ფილოსოფიური თეორია. მწერალი სიცვარულს წმინდა გრძნობად მიიჩნევს, მაგრამ უარყოფს გავრცელებულ აზრს, თითქოს სიცვარულის საფუძველი მაინცდამაინც სულია ნათესაობა იყოს...“.

სამწუხაროდ, მ. ჯავახიშვილი მოწმე გახდა იმისა, თუ ბოლშევიზმის გამარჯვების შემდეგ რამდენად მახინჯი სახე მიიღო ქალთა პიროვნული თავიუფლების იდეა, როგორც მზაკრულად დაუკავშირეს იგი სწორედ რომ სექსუალური ძალადობის, როგორც ქალის უფლებები ჩაგვრის ფაქტებს და აბსტიუზად სექსუალური ცხოვრების სრული უკონტროლობა წამოაყენეს. ჯავახიშვილის ცუცქცია, რომანთან „თეთრი საყვარელი“ ამ ტრანსფორმაციაზე მწერლის მწვავე სატყუარაა. ცუცქცია არა მარტო მორალურად არამედგრადია, არამედ საკმაოდ პრაგმატული იმისთვის, რომ მაქსიმალური სარგებლობა მიიღოს შექმნილი ეთიარებისგან. ჯავახიშვილი საკუთარი პერსონაჟის სიღრმისეულად ჭყრეტს და ამიტომაც ეს მზაკრული სახე მედროვის კვალიფიკაციას ღებულობს. ცუცქცია მწერლისთვის თითქმის იდეალ მოვლენაა, როგორიც ჯავა, ოღონდ ქალთა თანასწორობის უფლებებისთვის მეტროლის მანქანით. გამომსახველობით საშუალებათა სიმკვეთრე, რომელსაც აქ ჯავახიშვილი მიმართავს, გადამოცემს იმ სიმწარესა და იმედგაცრუებას, რომელიც რევოლუციამდე პერიოდში პიროვნების თავიუფლების, ქალის ადეკვატური თვითგამორკვევის, და სხვა ამ რიგის მოვლენების მწერლობაში ასახვის სულ უფრო მზარდი ტენდენციების იგნორირებად გამოიწვია. სწორედ ამას გულისხმობს „ლიტერატურული გაზეთის“ ზემოთ ნახსენები დისკუსიის ერთ-ერთი მონაწილე, როდესაც აცხადებს: „აქაბატოების რომ გადაგრწევილიყავით... ახლა აულ სხვა ქვეყანა იქნებოდა. განვითარების ერთბაშად დონეზე ვიქნებოდით“ (იქვე:11).

არადა, კ. გამსახურდიას მოდერნისტული რომანი „დიონისის ღიმილი“, მწერლის ევროპული ოდისეის შემოქმედებითი ნაყოფი, მაშინ გამოქვეყნდა (1926), როდესაც საქართველოს გასაბჭოების პრო-

ცესი შეუქცევადი გახდა. მან ქართველ მკითხველს დიდი ეროვნული მოაზროვნეებითა და საკუთარი სამშობლოს ზედისწერით ამოთხული მზაკრული ფანტაზიის ძალა აჩვენა (რომანს „დაკარგული თაობის“ წიგნაც უწოდებენ - ს.სიგუა). ამ ტექსტმა კიდევ ერთხელ გამოკვეთა მოდერნიზმის შესაძლებლობათა მთელი სპექტრი. ამასთან შესაძლებლობა მოგვცა არა მარტო მოდერნიზმის ლიტერატურის კონტექსტში ეროტიზმის ადგილის რეზიუმირება მოგვეხდინა, არამედ დაგვეჩვენა პირდაპირი კავშირი დიონისოს, როგორც მითოსური პერსონაჟის, მისტერიასა და ევროპის ღილ შრეზე ქალაქებში ჩაკარგული საკუთარი სუბიექტურობის“ მადიებელ ქართველს შორის. გაიხსენოთ, პირველი შეხვედრა დიონისოსთან რომანში ხალხი ბერის სურათის „დიონისოს მეორედ მოსვლას“ ნახვით იხსენიება, რასაც წინ უძღვის ჯენეტის სალონი გამართული საუბარი დასავლეთის სულიერ კრიზისზე (მ. ჯავახიშვილი, ჯავარცხული დიონისო, 2006), იმ დეუმანიზაციისთვის წამოწყებული დესტრუქციას, რომელსაც მთელი განათლებული დასავლეთი მოუცავს. სწორედ ამ კრიზისის დაძლევის გზაზე კონსტანტინე სავარსამიძე, მის მიერ საკუთარი ეგზისტენციული მიზანდასახულობის ძიებისას განცდილ სირთულეთა (შეიძლება ასეც ითქვას, წარუმატებლობათა) გადასაფარად შედონისტურ-დიონისური ნიღბით იმოსება და „ბაკანტურ-მენადურ ქალებთან (მისის ბლუტი, ლუჩია, ინგებორი) სექსუალურ თამაშებს ეძლევა (ს. სიგუა, ქართული მოდერნიზმი, 2002). თუმცა ეროტიზმი აქ არა მარტო ქალებისადმი, არამედ მშვენიერი ყმანავლი-სადმი, თავად „დიონისოს ამქვეყნიურ ემანაციადა“ აღიარებული ფიგურისადმი ლტოლვამაც გამოიხატება. ეს ეპიზოდები რომანში დიდი ექსპრესიითა და მზაკრული ოსტატობითაა გადმოცემული. მოგვიანებით, 30-იანი წლების დასასრულს, სტალინიზმის ხანაში შექმნილ „დიდოსტატის მარჯვენაში“ ეფემერულად გაივლებს ხელოვნების სუბსტანციურობის განმსაზღვრელი ავტონომიურობისა და ქალისადმი ლტოლვით, მასში ჩაკარგვით იმავე ბელოვნების ლალატის თემა, რომელიც შორეული ანარქეილია იმ შემოქმედებით თავისუფლებისა, რასაც „დიონისოს ღიმილსა“ და იმავე პერიოდში დაწერილ რამდენიმე ნოველაში (ტაბუ, ქალის რძე, ლილ) გხვდავთ.



ნინო ფირცხალავა

საკონცერტო პროგრამის შედგენის კულტურულ-პოლიტიკური ნიუანსები

მარსელ პრუსტისა და თომას მანის ტექსტების მაგალითზე



თომას მანის „დოქტორ ფაუსტუსი“ ერთი ნა-
ლებად მნიშვნელოვანი პერსონაჟი, სახელად გილ-
გენ პოლცმუერი, საკონცერტო პროგრამაში ბერ-
ლიოზისა და ვაგნერის ერთმანეთის გვერდგვერდ
მოქცევას ყოფილად უგემოვნო და გამომწვევ ჟეს-
ტად მიიჩნევს. საკუთარი აღმუთების უმთავრეს
მიზეზად კი იმას აცხადებს, რომ ამ ორი სახელის
მიღმა მისთვის რომანულ-ფრანგული (welsch) ვირ-
ტუოზობა გერმანულ ოსტატობას, მაისტერობას
უპირისპირდება. ამ კონტექსტში ნიშანდობლივია
ის გარემოება, რომ „დოქტორი ფაუსტუსი“ ევრო-
პისათვის მეტად მძიმე, ავადმყოფი პერიოდში (1943-
1947 წწ. შუალედში) იქმნებოდა. შესაბამისად, ორი
მსოფლიო ომის ქარცეცხლი აღმოჩნდა საჭირო, რა-
თა ფრანგი ვირტუოზისა და გერმანელი მაისტერის
ერთმანეთისათვის დაპირისპირებას თომას მანის
ნაღველნარევი ირონიული, უფრო კი თვითირონი-
ული ლიბილი გამოენახა. საქმე ისაა, რომ თავად მა-
ნისთვისაც გასული საუკუნის ლამის 20-იანი წლე-
ბის პირველ ნახევრამდე ყოველგვარი გერმანული-
სა და ფრანგულის დაპირისპირება უშუალოდ კულ-
ტურისა და ცივილიზაციის დაპირისპირების ტოლ-

ფასი იყო. ამ შემთხვევაში თომას მანის თვალსაზ-
რისი დიდად არ განსხვავდება მისთვის ესოდენ ნი-
შნაველი, მის მიერ „ნიცმეს ჭკვიან მაიმუნად“ შე-
რაცხული, ოსვალდ შპენგლერის პოზიციისაგან, ვინც
კულტურისა და ცივილიზაციის დიხოტომიას
საკუთარი თეორიის ცენტრალურ პრობლემად გა-
ნიხილავდა.

თომას მანის თანახმად, გერმანული მაისტერო-
ბის აუცილებელი ატრიბუტით, „დოქტორის ქუდი“
(Dürrmütze), თავდაპირველი ვაგნერი, გერმანელ
მაისტერად „თვითნაცნობისკენ“ ისწრაფვია,
რადგან მის შემოქმედებაში უდავოდ თვალშისაცე-
მიას ძველგერმანული ელემენტი, რომელიც ოდეს-
ღაც ხელოსნობის, ხელოვნებისა და განანავლულო-
ბის გამაერთიანებელ უზინარ, უხილავ რგოლს წარ-
მოადგენდა. მაისტერის წმინდა გერმანულ ფერო-
მენში, ერთიანდება ერთი მხრივ, ცოდნის მფლობე-
ლის, სწავლულისა და აღმზრდელის (მაისტერ ეკ-
პარტი), სიღინჯე და თვითაღმრავებულობა, ხო-
ლო მფორე მხრივ კი, მუყაითი ხელოსნის (ჰანს საქ-
სი – მაისტერზინგერთა წინამძღოლი მეწაღე, პოე-
ტი-ხელოსანი) თავდაუზოგავი შრომა და სრულ-



ქმისაკენ ლტოლვა. ამიტომაც იწვევს გაუცხოებას ერტუზობის იდეა, რაც ამ გადასახედიდან ხელფენებაში ოდენ ტექნიკის აბსოლუტურ, სრულყოფილ ფლობად აღიქმება.

ამედროულად, გასათვალისწინებელია საკითხის ამრავალფეროვნება. საკმე ის არის, რომ თოშას მკითხველი ვაგნერის დაპირისპირება ფრანგულ-რუმინულ წარმოშობის ვირტუოზობისათვის იმ მიაჩნეოდა და მცდარი აზრის ნაყოფია, რომელიც ვაგნერის შემოქმედებას სრულიად უპირობოდ გერმანულის განსაზიერებად და ეტალონად წარმოქმნა. სინამდვილეში კი ის, რაც უმოგონებლად „მსოფლიო საზოგადოებას“, რომელსაც მანმა უფრო ადრე გალიზიანებით „ცნობისმოყვარეობისგან მოცახლე ანატარქის საზოგადოება“, „ფემინური-ელეგანტური“, დაკვირვებულ-ადიდებლური „ტერგანსა და თუ-სტივის“, „ჰონატე კარლოს ევროპა“ უწოდა, ქმნიარტად გერმანულად მიანიჭა, ბევრად უფრო დეტალირებული, ანალიტიკური, ინტელექტუალური, მოკლედ „კოსმოპოლიტიური“, ვიდრე ბრანსის, შუანისა და შუბერტის ათეინტური ხალხური მელოდების ფესვებზე აღმოცენებული სულით სორცანდ გერმანული მუსიკა და „ნებისმიერი უცხოელ-გერმანისთვის“ გერმანულის მასსინდლურად „სანტერგსოდ“ წარმოჩენისთვისაც გამოიწვლილ.

ამდენად, ეგნერიის მუსიკა უფრო „ნაციონალურ-რომანტიკული“აა, ვიდრე „ხალხური“, რადგან მისი აპკარა კოსმოპოლიტიზმისაა, ინტერნაციონალურების გამო. ადგილობრივად-ევროპული ნელსაჩეხბლმით“ გაზიზიხილი მელიოდეია ნებისმიერი უცხოელისთვის ბოლოდ აღსაქმავლა და მას ამავედროულად ეკაზი-მშმარები ტერმანულად ფსევდოთანაზი-ნობის მცადარ ილუზიასაც აწერს.

თომას მანს მიაჩნია, რომ სწორედ ვაგნერის შე-
მოქმედებამ დაუშველია გერმანულ კულტურას
ადგილი XIX საუკუნის ევროპაში. ფრანგული იმ-
პერსიონისტული მხატვრობის, ინგლისური, ფრან-
კული და რუსული რომანის გვერდით გერმანულ
მუსიკის „უადოსნური ბალი“ აღმოჩნდა ის „მძლავ-
რი და ყოვლისმომცველი ფენომენი“, რომელმაც
თელი XIX საუკუნის სულიერი განვითარება გან-
აზღვრა. გერმანელთა წვლილი ამ ეპოქის კულტუ-
რულ ცხოვრებაში მუსიკალური აღმოჩნდა. დივი-
ნის თუ თეატრის, ტოლსტოისა თუ დოსტოევსკის,
აილკისა თუ ზოლას რომანებში წარმოსახულ სო-
ციალურ სამყაროს გერმანულად მითითური, დრო-
სმძილური, მუსიკალური პირველყოფილი პოვნა
უპაირობისპირეს. აქედან გამომდინარე სწორედ მუ-
იკის შერწყმა, შეუღლება ყოველგვარი სოციალუ-
რისაგან თავისუფლად და დროისმიმდებარე პოეზიასა
და მითოსთან განსაპიროების მანისთვის ის „ტიპურ
განიონალურ განსხვავებას“, რომელიც გამოირჩე-
ვნიანული ნაწარმოების სულს, „სახიფადოებრი-
ვი სულისკვეთებით“ გაუღმნითლი ფრანგული ტექ-
ნიკისაგან. ამის თვალწინააღმდეგ მავალთადაც კი შერ-
წყნული ხალხური წიგნების ტრადიციასა და მუცა სა-
კუნების თქმულებებთან დაკავშირებული, მუსი-
კის მისტიკიასთან შეგრძნებული მისივე „დოქტორი
აუტისტის“ გამოდგება.

აქვე ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ თო-

მას მანის, ისევე, როგორც მისი თანამედროვე ევროპულ ხელოვნათა შემოქმედების გაგება უთოდ გაძნელებია იმ „სამწარსკვლავედის“ გავლენის გათვალისწინებით გარუმე, რაც ნიცუქს, პოპენაუერონსა და ვაგნერის სახელებს უკავშირდება და საუკუნეთა (XIX–XX) მიჯნის, ვერტე ნოდებული fin de siècle-ის ანუ Jahrhundertwende-ს „ლიბერალური კულტურის“ არსის განმსაზღვრელია.

სწორედ ვაგნერიულ ფენომენს დაუპყრია მარ-
სელ პროსტის რომანთა ციკლის, „დაკარგული დრო-
ის ძიებაში“, ახალგაზრდა გმირის ყველა გრძნობი-
თი როლგანაც: სმენა დატყვევებულია „ვაგნერისუ-
ლი ქარიშხლით“ (*tempête wagnérienne*), ყნოსვა და
პირის გემო კი პატარა ბალონში გამოშვებული
ნი „ვაგნერიისეული ტკბილურწველივებიო“ (*douxair*)
გაღვირვითი გაზითაა გაბანგული, რომელიც ახალ-
გაზრდა კაცისთვის გერმანელების სახელთანაა ასო-
ცირებული. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ პარი-
ზის უმაღლესი საზოგადოების უბრწყინვალეს, გერ-
მანტა, სალონში ფეხის შედგმისას, მიმოხიზს კლავ-
ნილი ტოტისა და ვარდის ფურცლებებით ნატიფი
ულამაზესი ქალების ანუ „ყვავილა გოგონების“ (*Blu-
menmädchen*, ანუ *des filles fleurs*) გარემოცვაში, ეს
ახალგაზრდა თავს კლინგზორის ჯადოსნურ ბაღში
ნახევრადღი პარსიფალად წარმოიდგენს. ამ ჯადოს-
ნურ სამყაროს კი განსაკუთრებულ ხიბლას და მა-
გიურ ძალას საფრანგეთის უძველესი დიადი გვა-
რისის წარმოდგენეულაა „სახელების მისტერია“
ანიჭებდა. ეს ახალგაზრდა კაცი ვაგნერისულო მარ-
სელის მსახვად ისევა ჯადოსნ ტყვეობაში, რო-
გორც ჰანს კასტორში იყო შვიდი წლის განმავლო-
ბაში „ჯადოსნური მითის“ ხიბლის მაგითი შეპყრო-
ბითი.

ოლონდ თომას მანის მთლიანად ჰერმენევტიკული წრის პრინციპზე აგებულ რომანში საფუძვლადგაუდოდა დაშორებული და კოდირებული გრაფიკის ოქტედეგობა და პარციფალის ლეგენდის კავალის მიგნება უკიდურესად რთულდება თუნდაც იმის გამო, რომ პარუსტიკიდან რთესხვედრით, მანი არსად არ გვთავაზობს თავისი გმირის აქცერ მდებარებას არც ენებაბიხიელ პარციფალთან (Parzival) და არც ვაგნერისკულ პარსიფალთან (Parsifal); მაშინ როდესაც, პარუსტიკის მთავარი უკონონაო სრულიად თანმიმდევრულად და გამოკვეთილად ახდენს ვაგნერისკულ პარსიფალთან თვითიდენტიფიცირებას, ხოლო ერთმანეთში გადახლართულ საკითხი გრძნობებსა და განცდებს „ვაგნერისკულ მუსიკით“ ურთიერთგადაკეცება ადარებს, რომლის პანგებიც პარადოქსების მოყვარული მისი სათაგანებელი მაღაძმე გერმანის საკამოდ მუსიკანთაგანეული შენიშვნა, საესპა. „იკალოფორი ფაუსტიკი“.

სწორედ იმის ღრმა რწმენა, რომ რომანულ-და-სავლურ-ევროპული ეფექტურობა და ბრწყინვალე-ბა სულაც არ იყო ვაგნერის მუსიკისათვის უცხო ელემენტი, ჰგერიადოთმბას მანს ირონიული ლიმიზი, როცა ვაგნერი, როგორც გერმანიელი მისტერის განსახიერებას, ბერლიოზის ფრანგულ ვირტუოზობა-ს უპირისპირედმდენ. ამ კონტრასტით კი არ უნდა გამოგვიჩვენოს ის სავალისებო გაერეშვები, რომ ვაგ-ნერისა და ბერლიოზის ურთიერთშეპირისპირე-

პირველად თომას მანის „დოქტორ ფაუსტუსში“ კი არა, არამედ მარსელ პრუსტის ეპოპის მეოთხე ნივთში („სოდომი და გომორი“) მოხდა. არ არის გამორიცხული, რომ პრუსტისეული ბერლიოზ-ვაგნერის ანტიეთეტური კონსტრუქციის იდეა ერთგვარი საბეგვლოდ, შეფარული ციტატის ფორმით (რაც საზოგადოდ დამახასიათებელია თომას მანის შემოქმედებითი მეთოდისათვის) აღმოჩნდა ჩაცხოვრული „დოქტორი ფაუსტუსის“ ტექსტის ქარვამი. საქმის არის, რომ „სოდომი და გომორში“ ბატონი დე მარლუ ყველა ეპიზოდს, როცა ერთ-ერთი კონცერტზე მის გვერდით მდიდარი ებრაელი ბანკირი აღმოჩნდა და ხანამ ბერლიოზის „ქრისტეს ბავშვობა“ („l'Enfance du Christ“) უკრავდნენ, ერთობ დათრგუნული ჩანდა, მაგრამ სულ მალე დაუბრუნდა ნეტარების გამომეტყველება, რომელიც „დე მარლუს თქმით“ „ნითოლი პარასკეის ჯადოს“ მოსმენისასაა მისთვის დამახასიათებელი“.

ამრიგად, აქ ბევრად უფრო ადრე, ვიდრე თომას მანთან, ურთიერთდამპირისპირებული აღმოჩნდებოდა ვაგნერი და ბერლიოზი; ოღონდ ეს პრუსტთან უპირატესად შენიღბული და მეტწილად გახედილ-ბნევი ფორმით ხდება. ამის თვალნათლი დადასტურებად თუნდაც „სოდომი და გომორიდან“ მომწველიებული, ზემოთ მოხსენიებული ეპიზოდი გამოდგება. პრუსტი აქ მიმართავს ერთად საინტერესო ხერხს. ის არ ასახელებს პირდაპირ ვაგნერის გვარს, თუმცა ამავდროულად ცდილობს სხვა მიმომხივებით, ანუ მუსიკალური სცენის სათაურის მეშვეობით, მკითხველის სწორ კვლავ დაეგნება. შესაბამისად, მართალია, გერმანული კომპოზიტორის სახელი უშუალოდ ნახსენები არ არის, მაგრამ „ნითოლი პარასკეის ჯადო“ („l'Enchantement du Vendredi-Saint, ანუ Karfreitagszauber) სხვა არაფერია, თუ არა ვაგნერის „პარსიფალის“ მესამე აქტის პირველი სურათის ერთ-ერთი ბოლო სცენა; ხოლო ებრაელი ბანკირი ასეთი გზებით მაინცდამაინც „ნითოლი პარასკეის ჯადოს“ ჰანგებს რომ უსმენს, ამაში ბატონი დე მარლუ მისთვის სიამის მომგვრელი ენა-გონიდანობითა და ნიშნის მოგებით ქრისტეს ჯვარცმით (თუნდაც მხოლოდ სცენაზე) გამოიყენებს სიხარულს ეძებს; თუმცა ის, რომ ებრაელს ბერლიოზის მუსიკაზე მეტად სწორედ ვაგნერის მუსიკა აღადგროვანებს, არც შემთხვევითია და ცხადია, არც ქრისტეს ჯვარცმის ხილვითა განპირობებული, არამედ ამის უკან უმაღ გერმანულ-ებრაული საწყისის სიახლოვის საგულდაგულოდ შეფუთულ-მებურთული იდეა ჩამაშლილი. ზუსტად ეს საზიარო იდეა იჩენს გამოკვეთილად თავს პრუსტისა და თომას მანის ტექსტებში, ხოლო მისი საერთო საფუძველი კი ნიშნებს ფილოსოფიაშია საძიებელი. სწორედ ნიშნებს მოძებნება ნარმოადგენს იმ სულიერ წყაროს, რომელმაც გარკვეულწილად განსაზღვრა თომას მანისა და მარსელ პრუსტის კონცეფციითაა აშკარა სიახლოვე.

შეჯერების უსასრულო პროცესის შედეგად „ევროპული ადამიანის“ ერთიანი „შერეული რასის“

შექმნის ნიშნეანული ოცნება მისი ცხოვრების უბთარესი მიზნის გახორციელებას, ანუ „კარგი ევროპელი“ აღზრდა გულისხმობდა. ამის ნიშნად რომად კი, ახელგანთნარი ნაქიანალიზმის“ საფრთხის დაძლევა მოიაზრებოდა. გერმანელებს ამ პროცესში თავიანთი თანდაყოლილი და ძველთაგანვე კარგად ნაცადი, აპროპრიებული თვისებების გამო, ერთა შორის თარჯიმნისა და შუამავლის“ როლი ეცის რებოდათ, ხოლო ებრაელობა კი იმ ხელშეუვალ აუცილებელ „ინგრედიენტად“ („Ingredient“) იყო მიხილი, რომლის გარეშეც ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა ქვეშარიად „ძლიერი ევროპული შერეული რასის“ შექმნა, ვინაიდან „ებრაელები არიან ის ყველაზე ძლიერი, გამომართობილი და მნიშვნელოვანი, რომელთა პარიზის სალონებში ცხოვრობს“ სწორედ აქაა საძიებელი ებრაელთა ინტერნაციონალურ-პროგრესანულ ფენომენად გააზრების ფსევბი, რაც ასე მოსწრებულადაა ფორმირებულ თობას მანთან პარიზის სალონებში აკლამბიგებული, „პოლონურ-გერმანულ-ებრაული გვარის“ მატარებელი კოლორიტული პერსონაჟის, საულ ფელტენბერგის, ერთმანეთში არეულ-დარეულ უსამელოდ გრძელ ფრანგულ-გერმანულ მოწოდებულ „ჩვეს (ებრაელები) ინტერნაციონალურნი, მაგრამ პროგრესანულები ვართ, როგორც არავინ ქვეყნებზეა, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია არ დავინახოთ ამ სამყაროში გერმანელობისა და ებრაელობის როლის ნათესაურობა“.

ნიშანდობლივია, რომ პრუსტთან სრულიად განუყოფელი მხატვრული ფორმით შივთა ასახვა იმ საუკეთესო ტენდენციამ, რასაც მოგვიანებით ჰანს არენდტმა *fin de siècle*-ის პარიზულ გლამურულ სალონებში გამეფებულ ბრჭყვიათა, ყალბი და „იფიფასიანი ფილოსოფიკიზმი“ („cheap philosophy“) უწოდა. ფრანგი მწერლის რომანთა ციკლში განსაკუთრებული აქცენტები კეთდება პარიზულ მონდენურ სალონებში გამიზნარებულ ინტელექტუალთა იდეალურ უცხოებობაზე აღიქმება. ებრაელებზე საუბრისას პრუსტი თითქმის ყოველთვის ამხეხავს ყურადღებას მათი გერმანულ საწყისთან სიახლოვის იდეაზე. ამ მასლობლობას არაერთგზის დაბეჯითებით ესმევა ხაზი მაშინაც, როცა ვთქვით, ლაპარაკი პარიზული ებრაელი ინტელექტუალისთვის ესოდნ ტიპიურ, დამახასიათებელ „ნახევრად გერმანულ, ნახევრად ებრაულ დიალექტზე“ („ce dialecte mi-allemand, mi-juif“). და მაშინაც, როცა პერტიკოლი დე გერმანტის მიერ ებრაული სახელი – Bloch – სრულიად გამიზნულად არა ფრანგულ, არამედ გერმანულ ყაიდაზე წარმოითქმება, ანუ როცა ბოლო ბგერა ძი ფლერს არა ფრანგული ფონეტიკის წესის შესაბამისად, როგორც კ, არამედ როგორც ხ სხე, როგორც „გერმანულ სიტყვაში hoch“* („comme dans hoch en allemand“). ამ ცნობილი ებრაული სახელის განსხვავებული წარმოთქმის ტრადიციის ერთგვარ გამოძახილს ეპოქაობთ გასული საუკუნის ორი უმნიშ-

* - მაღალი, მაღლა



ჭელოვანებს ეგროპელი გეგარნათესავი მოაზროვნის ხსენებისას. შესაბამისად, მარკ ბლოკზე საუბრისას საქმე ებრაული წარმომავლობის ფრანგ ისტორიკოსს ეხება, ხოლო ერნსტ ბლოის ხსენებისას კი, ასევე ებრაული წარმოშობის, ოლომდ ამკერად გერმანელი ფილოსოფოსი ივანაუდებო. ამრიგად, ერთი და იგივე გეგარის ორსოფრადიული ფორმის სრული თანხვედრა გერმანული და ფრანგული მართლწერის შემთხვევაში - Bloch -, სულაც არ წარმოადგენს შეუვალ წინაპირობას სახელის ფონეტიკური წარმოთქმის ბეგრათი თანხვედრისათვის ამ ორი ენის აივრცეში. აქედან გამომდინარე, პრუსტისეული ფრანგი არისტოკრატის მიერ ამ სახელის აკუსებით შეგებულად გერმანულ ყაიდაზე წარმოთქმა ნიშნავს, გერმანულენოვანის საკუთარ თანამოქალაქე ებრაელ უცხოტოქმელთა მიზანმიმართულად გადაბარებას.

თავის ცხოვრება წამოიწყო „კეთილისა და ბოროტის მიღმა“, ნიკშე ლაპარაკობს იმ გონებია დაინსვლასა და არევაზე, დროგამოშვებით გერმანელებში „თან ანტიფრანკული სისულელის, ხანაც ანტიებრაული“ ემიდეციის სახით რომ იღვთებდა ხოლმე. ეს სიტყვები ამაღმროულად თითქოს პრუსტის მიერ წარმოჩენილი საუკუნეთა მიჯნის ააყრანგეთის სელერი ცხოვრება დასაბასათებლად და დაწერილი. ოღონდ, ამ შემთხვევაში, ანტიფრანკული სისულელე; ცხადია, ანტიგერმანულით უნდა შეიცვალოს. პრუსტის თითქმის მთელ ციკლს ლაიტმოტივით გაადევნს ანტიდრეფუსარტა, „ქეშმარიტ“ კათოლიკე პატრიოტთა და დრეფუსარტა, პროტეინტული განწყობის კონსმოპოლიტთა დაუსრულებელი, სამკდრო-სასიცოცხლო დევი, რომელნიც საფ-

რანგეთის ყველა ფენა მოიცავს. მხოლოდ ნიკშეაეული გაგებით „კარგ ეგროპელს“ შეაწევს ძალა გაუძღლოს იმ პერიოდულ ემიდეციის, რომელიც ხან გერმანულს უბნელებს გონებას ანტიფრანკულ-ანტიებრაული ისტერიით, ხან კი ფრანგის მძვინვარე აიძულებს იწვევს ებრაელის ან გერმანელის მიმართ.

ამ თვალსაზრისით რობერ დე სენ-ლუს, გერმანტა გეგარის ახალგაზრდა გამგრიელებლის პიროვნება წარმოადგენს იმ განმთლიანებელ, განაერთიანებელ ფეოქმენს, რომელშიც მისი ეპოქა „გონების დაბნელების“ ემიდეცია დაიძლევა. საფრანგეთშია და მთელი ეგროპული არისტოკრატის ეს ერთ-ერთი უბრწყინვალესი შტოს შთამომავალი გააფთრებული ანტიებრაულ-ანტიდრეფუსარტული კამპანიის ისტერიის საკუთარ, მისი წრისათვის სრულიად სანაღმდეგო პოზიციას უპირისპირებს და ბოლოს ცოლად ებრაველ ეალა ირთავს; ხოლო გაცხარებული ანტიგერმანული ფსიქოზის დროს (პირველი მსოფლიო ომის წლებში) ეს ფრონტზე მებრძოლი მამაცი ფრანგი ოფიცერი ყოველგვარი შიზაგონი შემოცნების გარეშე თავისუფლად საუბრობს გერმანულ კულტურაზე, რადგან წას, ზურგში დარჩენილთაგან განსხვავებით, გერმანული სახელების წარმოთქმის შიში არ ჰქონდა. ნებისმიერ გერმანულ წინარმოქმზე საუბრისას სათაურს ყოველთვის ორიგინალის, ახლ გერმანულ ენაზე ახატებდნენ და რაც მთავარია, ნიკშეს ფილოსოფიაზე აღზრდილი, მოუთმენილად ელოდა ეგროპული კულტურის „სამკვარსკედეგის“ ერთ-ერთი მნათობის - ვაგნერის ოპერის დაბრუნებას პარიზში, რომელიც ომმა გააძევა საფრანგეთიდან და ზეშრობით ლამის გერმა-

ნელების შემოღებას ნატრობდა ქალაქში (Il faut dédier de l'arrivée des Allemand pour qu'on puisse entendre du Wagner à Paris), რათა კვლავ ვაგნერის მოსმენა გამხდარიყო შესაძლებელი. სწორედ ნიქშე და ვაგნერი წარმოადგენენ დე სენ-ლუს მიერ მესის-ხელოვნებას, ლიბერალური კულტურის ("culture libérale") ქვეყნების.

თუკი ანტიგერმანული ფსიქოზით შეპყრობილ პარიზში ლიბერალები ბუზრობით ლამის გერმანელების ოკუპაციას ნატრობდნენ, განდევნილი ვაგნერის მოსმენა რომ გამხდარიყო შესაძლებელი, გერმანიის ბერლიონისა და ვაგნერის მუსიკის ერთ პროგრამაში გაერთიანება ესახებოდა. "პატრიოტ" განათლებულ ფილისტერს ცუდი გემოვნობისა და მავნე პოლიტიკური ტენდენციის გამოვლინებად, რასაც მისი სიტყვებით: "ფრანგულ-გერმანული მერიკიზმისა და პაციფიზმის" საეჭიო სენი უდიდდა. ამ კონტექსტში კი ვაგნერ-ბერლიონის "უგემოვნებობად" გამოცხადებული სიმშიოზი უბრალოდ მხოლოდ ესთეტიკური თვალსაზრისით კი არ არის დაუშვებელი, არამედ პოლიტიკურად ანგაფიგურული. "ქუმარიტი პატრიოტისთვის" სრულიად დამილუშველი პაციფისტური სულისკეთების მატარებელია.

გერმანიაში ამ პრინციპების მქადაგებულს, ფრანგულ-გერმანული წარმომავლობის (დუდიო ფრანგი, მათი გერმანული) მწერალი ქალის, ანეტე კოლბის, მსგავსად, რომელიც თავდაუზოგავად იბრძოდა ამ ორი ერის მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და ურთიერთდახმობისათვის, სერიოზული სირთულეები ელოდა. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ 1915 წლის იანვარში, დრენგენში, ევროპის ხალხთა ურთიერთგაგებისა და თანხმობის შესახებ ნაკითხული მოხსენების შემდეგ, რომელმაც დიდი ენებათაღივლა გამოიწვია, ბავარიის სამარქ საქმეთა სამინისტრომ (Kriegsministerium) "ძირგამოთარეული პაციფისტური საქმიანობისთვის" ანეტე კოლბის, წინააღმდეგ 1916 წელს მთელ რიგ სადანი-სჯელი ღონისძიებებს მიმართა, რის შედეგადაც მისთვის მიმონერისა და მოგზაურობის აკრძალვასაც კი მიანიჭა. მხოლოდ ვალტერ რაიჟანუს თანაგამობის წყალობით მოახერხა მან შეიქარაიაში ემიგრირება. ამ გაბედული ქალის ლიტერატურულ პორტრეტს ვხვდებით „დოქტორ ფაუსტუსში“, რადგან ანეტე მოიერლის პერსონაჟში სწორედ ანეტე კოლბის რეალური ისტორიული ფიგურის ამოცნობა არ არის რთული.

ამრიგად, ევროპისათვის ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ პერიოდში, პირველი მსოფლიო ომის წლებში, ფრანგულ-გერმანული შერიგების დე-ნებისეირი მონობა არაპატივცემულად აღიქმებოდა და ლამის მუხანათობა ტოლფასად ცხადდებოდა. საინტერესოა, ნეტა როგორ იქნებოდა აღებული ამ დრამატული ეპოქის გადმოსახედიდან კიდევ ერთი „კარგი ევროპელის“, მარლ დე გოლის, ბევრად უფრო გვიანდელი მოხსენებული გამონათქვამი იმის თაობაზე, რომ ევროპა ხორცის კერძია, რომელშიც ხორცი საფრანგეთი და გერმანიაა ბუნელუქის სოუსით, ხოლო იტალია კი მოსტენული.

„დოქტორ ფაუსტუსი“ მთავარ თემას, როგორც

ცნობილია, „გერმანული ტრაგედია“ წარმოადგენს, რომელიც ორგანულადაა გადაჯაჭვული მუსიკაში, უფრო სწორად კი, ამ ტრაგედიაში მუსიკის როლის გაზარებისათვის. აქ, თუ შეიძლება ასე იქნას, საქმე ეხება გერმანული ტრაგედიის დაბადებას მუსიკის სულიდან. ესაა ერთგვარი ლიტერატურული მდგომარეობა პოეტური ენის მშვენიერებაში მარტო მუსიკა იქნეს მოთხრობილი და გადმოცემული, არამედ ამ მუსიკის დანიშნულებაც გახსნას ლირის გერმანიის ისტორიაში. სწორედ ამიტომაც წარმოადგენს, პირველი და მეორე მსოფლიო ომების ფონზე, კულტურპოლიტიკური თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო მოვლენას ცანაჯა, საკონცერტო პროგრამის შემდგომი განხილვის თაობაზე. ნიშანდობლივია, რომ ვაგნერისა და ბერლიონის მუსიკალურ ნაწარმოებთა ერთ-ერთი კონცერტო პროგრამაში ერთმანეთის გვერდგვერდ მოქცევის, კავთმოძულე რასისტული ამპარტავენებისა და ანტიუმანურ-ანტიდემოკრატიული ესთეტიკის სულით გაუღებელი „კრიდისის წრის“ (Kridwils-Kreis) ის ერთ-ერთი ნაკლებად სპატიური პერსონაჟი ენინააღმდეგება, რომელმაც აშკარად სიმბოლური დატვირთვის გვარს, პოლცმუერ, ატარებს.

საქმე ის არის, რომ სიტყვასიტყვით პოლცმუერ (Holzschuher) ბის ფესხაცემლას ნიშნავს. ამ ნიშნევაში გადაწყვეტილი სიტყვა „ხე“ (Holz), უნდა დაწესდეს ანუ ზოგადად ფრანგული ენის იმ კონკრეტულ ნიშნევაზე, boche, რომელმაც 1870 წლიდან, ანუ საფრანგეთ-გერმანიის სამხედრო კონფლიქტის მოყოლებული, მოიკიდა ფეხი ფრანგულ ენაში, ხოლო პოპულარობის მწვერვალს პირველი მსოფლიო ომის დროს მიაღწია და თავის მხრივ, გერმანულ ენისის დამამცირებელ სახელწოდებას წარმოადგენდა მეორე მსოფლიო ომის პერიოდშიც კი. XII საუკუნეში ფრანგული გამოთქმა tête de boche ნიშნავდა აგრეთვე tête de bois-ს და შესაბამისად გერმანულ Holzkopf-ს ანუ „ხისთავიანს“. და ამაღ საუკუნის ფრანგული ყარგონის ლექსიკონის თანახმად tête de bois, ანუ ხისთავიანი - გამოიყენება და გონებაშიმე გერმანელების სიძულვილის აღმწერებლად, მათი არასაბრტე აზროვნების სიძულვილსა და მოუხმობის საბაბით. ამრიგად, პოლიტიკურად ანგაფიგურული გერმანული ფსევდონიმტულტალისთვის მსგავსი სახელის „პოლცმუერ“ (Holzschuher), ანუ ხის ფესხაცემლას“ დარქმევით, თომას მანი შეეცადა სწორედ ფრანგული პერსპექტივიდან დაწახლება მისთავიანი, ყვეიანი boche წარმოეჩინა, რომელიც ყველაფერში პოლიტიკურ ბრუნებას და გერმანული იდეის ღალატს ეძებს. შეაბამისად, სიტყვანაზრების მარჯვე გადაჯაჭვებისა და ოსტატური ენობრივი გათამაშების გზით ამ ერთი ნიშნევათი უმნიშვნელო სიტყვიერი საფარეგლს ქვეშ, არცთუ უწყინარი კულტურულ-პოლიტიკური დატვირთვის მატარებელი მრე აღმოჩნდება მიუცეული, რომელიც სიტყვის საბურველის მშვენიერებით ერთი მხრივ დაფარულია, მაგრამ მეორე მხრივ, ეს სიტყვიერი გარსი მაინც საკმაოდ გამჭვირვალე რჩება იმისათვის, რომ პირველი მსოფლიო ომის დროით ჩარჩოში პოლცმუერად, ანუ ხის ფესხაც-

მეზიდ სახელწოდებულობის მიღმა მტკნად საგულ-
ღასხმო ისტორიული კონტრასტის დახაზვა გახდეს
შესაძლებელი. საკითხავი ოღონდ ის არის, თუ რამე-
დნად შესაძლებელი იქნებოდა თარგმანისას ამ
კულტურულ-პოლიტიკურ-ისტორიული მინაწარსო-
ბის ნიუანსის შემცველი სახელის თავისებური ელ-
ფერის ტექსტიდან ტექსტამდე უდაბნაქარგად მი-
ტანა ნებისმიერ სხვა ენაზე.

ფრანგულ-გერმანული შერიგების წინააღმდეგ
ამხედრებული „პატრიოტი“ ნაციონალიზმი (völkisch)
პროფესორი, გილგენ ჰოლცშუერი, „სულიერი სინ-
ნიდის“ აღდგენას გადაგებს. ამ მიზნით კი, ორგე-
ბრის ათაბაგი არა ეროვნული თვალსაზრისით არა-
ამოდ (national unzuverlässig) პაციფიზმი და რეს-
პუბლიკელი გიგინდარას დაყენებას, არამედ ევგენი-
უტანლად გერმანული სულისკვეთებით (unzweifelhaft
deutscher Gesinnung) გამსჯელობად ადამიანს ითხოვს.
ესაც არც სურვილი და არც ცდუნება არ გაუქნდე-
ბს, თუნდაც ვაგნერისა და ბერლიოზის ხელოვნე-
ბის ერთ პროგრამაში მოქცევით, თანამემამულე-
ებს მავნებელურად ფრანგულ-გერმანული შერიგე-
ბისკენ უბიძგოს.

საგულისხმოა, რომ მეოცე საუკუნის ევროპულ
ინტელექტუალურ „დიდ“ რომანში, პრუსიულ იქ-
ნება ეს, თუ თომას ნანთან, მუსიკისა და პოლიტიკ-
ის ურთიერთმიმართების თემატიზაცია იმთავით-
ვე მტკნალად ვაგნერის სახელს უკავშირდება. ნი-
შანდობლივი ისიც, რომ ამ მუსიკისა და სახელის
დღემდე განუყოფელი პოლიტიკისაა, ვინაიდან ის
ამ რთული კულტურპოლიტიკური მოვლენის გან-
ახიერებაა, რასაც შეიძლება ნუშაქი და ტაბოე ეწო-
დოს. ამის მიზეზი ალბათ ძნელი მოაძებნებოდა უნ-
დაიყოს. საგანისათვის, თუნდაც პირველად 1850 წელს
„ახალ მუსიკალურ ფუნდამენტში“ გამოქვეყნებული,
ვაგნერის ავადმოსაგონარი ცნობილი წერილის -
„ოდევეტელის მუსიკაში“ - გახსენება, სადაც კომ-
პოზიტორის მთელი ძალისხმევა იქეთკენაა მიმარ-
თული, რომ უტყუარი საფუძველი და ნორალური
დევინიზაცია მოუძებნოს „დასაბუთებულ“ გამარ-
თლებულ და ამახთან, დაუდლებელ ზიზღს ემბრა-
ვლთა მიმართ“. ვაგნერისეული სწრაფვა ახანას
იდეალულობისადმი „იალხის ეს ღრმა“ და „ინსტინ-
ქტური ანტიკონი“ ამკარად ცოდვდება „მხოლოდ
გერმანული ბილიკების მიმართ“ სოციალმომცველი
ხილუვლის ფარგლებსა და საგალოო ტრეტილო-
ბის საფეს იქნეს. ორი გერმანული კომპოზიტორის შემ-
ოქმედების მაგალითზე ია ცდილობს თვალსაჩინო-
ბა გარემოტებით განმტკიცებული გაბადოს მისი
თქმით, „ყოველი ჩვენგანისათვის კარგად ცნობი-
ლი და მთელი ბალხისათვის დამახასიათებელი უარ-
ყოფითი შინაგანი განწყობა ყოველივე გერმანო-
ბადში“. ამ ორ გერმანულ კომპოზიტორთაგან ერთ-
ერთის ვინაობა მართალია, ატკტაში უზუსტოდ
გაცხადებული არ არის და იგი ნიუსხეიბულია, რო-
გორც „ჩვენი დროის ერთი კარგად ცნობილი კომ-
პოზიტორი“, რომელიც „სრულყოფილად ფლობს
აიკრებს ხელოვნებას“, მაგრამ აქ უდგოდ იგუ-
ლისხმება ვაგნერისათვის ესოდენ საძაღლებელი
„მსტყუარა კომპოზიტორი“, იაკობ ლიბმან შერი,
ანუ ჯაკობი მეიერნერი. ფრანგული Grand opéra-

დიდოსტაბად აღიარებული, მისი დროის მსაფრთხი-
ერთი ყველაზე წარმატებული მუსიკოსი, ვაგნერის
მეორე უნიჭო, ლამის თაღლით შარლატანადაა გა-
მოცხადებული, ვინც საკუთარი თავისთვის „მხატვ-
რული დიდების“ თვითმშენებელია იმ „უტყუარ-
ხეობის“ წყალობით, რომ „მერს ოპერებს პარიზი-
ხათვის და ადგილად თანხმდება მათ დიდგმამზე სხვა
ცალკეობით“. ვაგნერის ღრმა რწმენით, ზუსტად ეს
წრესგადახული მართვითაობა გვევლინება საკუ-
თარი ყალბი „ეზრალეი ელფერის“ შიქზე ხელოვნე-
ბის დამკვიდრების, მისი „ეაქტობის საგნად“ გადაქ-
ცევისა და თვითღმრთების წინაპირობად.

ნასაზრად ავადებული ტრეგოკომიკური, თვალ-
თნახეი მუსიკალური საქმოსის, მეიერნერის, სა-
პირწონედ, ვინც ებრელობის სამარცხვინო „კომ-
პრომეტერებას“ ახდენს, ვაგნერი მეორე მუსიკის
მისხველ ეზრავლზე, ფელიქს მენდელსონ-ბართოლ-
დიზე, ლუდვიგ სილრმიდში მომდინარე სინანულით
საუბრობს. ეს ადრე გარდაცვლილი კომპოზიტორი
მართალია, ზუნებას სრულიად გამორჩეული ნიჭი-
რებით, ანუ „სპეციფიკური ტალანტით“ კი დაუ-
ჯილდოვებია, მაგრამ მისდა საუბედუროდ, მისაბად
მავალითად მიანდებამინც ბახი აურჩევია და მია-
ფორმებს იყენება ნაცვლად საკუთარი, აგაბი-
სახველობის უნარს მოკლებული ენისაო“ - ნუხს
ვაგნერი, სწორედ ამით არის გაზიარებული „ტრა-
გიზმი“, რომელიც ვაგნერს მენდელსონის ზუნებას
განუყოფელ ხანაღად მიანიჭა. ამ ტრაგედიის არსი
კი ნისთვის ებრეული კომპოზიტორის სრულ უუნა-
რობაში მდგომარეობა გაითვალის „ძველი ოატკ-
ტის“, ბახის, ენა, რომელიც ნახარისტორიულ მუ-
სიკალურ ენად შეიძლება ექცეს ვთქვამ, მოცარტს
ან ბეთოვენს, ოღონდ არამდგომარეობა ებრეულ კომ-
პოზიტორ მენდელსონს. მისთვის ბახისეული მუსი-
კალური გერმანული ნიჭად ენის მხოლოდ გარეგ-
ნული, ზედპირობული კომპონება, მოსგავსებაა მი-
სანედოში, ხოლო სილრმისეული შრე კი დაბნული
და ჩაქტილი დარჩება. ამგვარი ენობრივი ნაკლუ-
დობების გამო - „ებრეული მუსიკალური ხანარ-
მოები ისეთსავე შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენზე,
როგორსაც მოახდენდა გოეთეს ლექსის თარგმანი
ებრელურ ფარგნებში“ - აცხადებს ვაგნერი.

ამრიგად, სემპიტური მტყვევლის თაყისებუ-
რებათა“ მიმართ სრული გაუცხოება წარმოადგენს
ვაგნერისთვის უტყუარ საბოის იმის დააბატკიებ-
ლად, „თუ რანდებდა უტყუარი არიან“ გერმანელე-
ბისთვის ებრელები. აქ გაუცხოების საფუძვლად
ენის ფაქტორი ხდება გადამწყვეტი. ამ ლოგიკის
თანხმად, მსგავსა აავალალო მდგომარეობას თვით
დიდი მოსე მენდელსონის მშვიდმოდლი, ფელიქს მენ-
დელსონიც კი, ვერ გადაურჩა.

მისე მენდელსონის, ევროპული იუდაიზმის ამ
უწმინდესელოვანესი წარმომადგენელია და პასკა-
ლას წინამორბედის, მასაღად ოთახის მოსთვის სა-
თაყვანებელი ფრიდრიხ დიდის პორტრეტი ამშვენ-
ნებდა. ის იყო პრუსიის მეფის ყველაზე სახუცელად
თქმული ებრაელი ქვეყნდრობი. ფრიდრიხი კი პა-
სკალ არდენის თანახმად, იყო ის სუვერენი, ვინც
პრუსია და საზოგადოდ გერმანია იმ ეპოქის ებრა-
ელობას სოციალურ სამოთხედ უტყია“. შესაბამი-

სად, გასაკვირი აღარ უნდა იყოს, რომ გერმანია ითვლება პასკალას, ანუ ებრაელთა აზროვნებისა და არსებობის წესის მოდერნიზაციის სამშობლოდ; ხოლო გერმანელი ებრაელი ინტელექტუალი კი, არიან პირველი, ვინც პასკალას იდეებს ეზიარნენ. სწორედ გერმანულენოვანი მოსე მენდელსონია მიჩნეული ახალი ტიპის ემანსიპირებული ინტელექტუალი ებრაელი ებრაულის განსახიერებად. ისაა პირველი, ვინც თავის თავში ამილიანებს ებრაულ და გერმანულ საწყისს ევროპულ სიურცემი და ამავდროულად ლესინგისეული ნათან ბრძენის პროტოტიპად გვევლინება.

პასკალას, ანუ ებრაული განმანათლებლობის ბერლინური ფენომენის წყალობით იქცა ეს ქალაქი გერმანული ფილოსოფიისა და ებრაული კულტურის განვითარების ახლებური ტენდენციების ურთიერთგადაკეთის ალაგად. სწორედ მოსე მენდელსონი იდგა ფუკოს თქმით, ებრაული და გერმანული აზროვნების შეხვედრის „ამ გაჯავვარედინზე“ (à ce carrefour). ბერლინური პასკალა მიიჩნევა ებრაელი ხალხის ისტორიაში სრულიად ახალი ეტაპის დასაწყისად, რამდენადაც მეოთხრამეტე საუკუნემდე პაიროქსის თანახმად, ევროპაში მხოლოდ „გეტოს შუა საუკუნეები“ თუ მოიძევება. მენდელსონი ერთ-ერთი პირველია, ვინც ამ შუასაუკუნეებრივი გეტოიდან გამოდგინა და ებრაული განმანათლებლობის იმ სულიერი მმდიანობის სულიანამდგმელი გახდა, რაც დასაბამს გერმანიაში იღებს და ევროპული განმანათლებლობური იდეებითა ნაწარმდება.

ამ კონტექსტში ძალაუვნებურად გახსენდება პრუსტიესული დაყინებული მიწაში გაფრთხილებული ინტელექტუალი ებრაელი პროგრესანული ბაზე, ასე გამოკვეთილად რომაა არტყლილი მათი გახუმორებული დიალექტის ებრაულ-გერმანული ნაზვის ფლერადობაში. აქ ებრაულობა და გერმანულობა იდგა ერთმანეთისგან სრულიად გასერყვლილი და ამავდროულად, რამდენად დამორჩეულია ეს პათოსი ვაგნერისეული პოზიციისგან. გერმანულ კომპოზიტორს გადაუდებელ აუცილებლობად ხომ ხელოვნების გათავისუფლება ესახება „ებრაელთა დაქმნილებული გავლენისგან“, ვინაიდან მისი თქმით, „ებრაულობა არის ჩვენი თანამედროვე ცივილიზაციის უმნიშვნური სინდისი“. სულ რამდენიმე ათწლეულით უსწრფი ეს მიმეი, უღმობელი სიტყვები ებრაულობის მიმართ გამტანილი იმ სახეტი განაგრენ, 1879 წელს თავისი კონსერვატიზმით ცნობილმა ნაციონალისტმა პრუსიელმა ისტორიკოსმა, პაიროს ფონ ტრაიკტი რომ ნაიონროლა ავბედითი საომარი ლოზუნგის მსგავსად: „ებრაულები არიან ჩვენი უბედურება“ (Die Juden sind unser Unglück). და ამით იმ ისტორიულ კატასტროფის დაუდ დასაბამი, რაც თავდაპირველად თითქმის გერმანიის საუნივერსიტეტო ინტელექტუალურ სიურცეს არ გასცდენია და დღეს ტრაიკტიდან, ანუ ანტისემიტუზმის დებატების (Der Berliner Antisemitismusstreit) სახელიდან ცნობილი. იმ პერიოდში ანტისემიტუზმის გარშემო ატეხილ, თუნდაც ყველაზე ცხარე დებატების ფარგლებშიც კი, ალბათ ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა, რომ ტრაიკტეს-

ული ეს ლოზუნგი წლების შემდეგ ლესინგის მძლავრ იდეად და მაიორ ფორმად იქცეა და ნაციონალისტების, ხოლო მათი ყოველკერძო მრავალტარაიანი პროპაგანდისტული გამოცემის *Der Stürmer*, ამ სიტყვებს მთავარ დევიზად იატყვება. ამიტომაც ზედმეტი იერუსალიმის იად უბეჭეპოლოკის მუხელში მისულ დამთავლიერებულ პირველივე დარბაზში ეპიგრაფად წამძღვრებულ ეს ავბედური ლოზუნგი: „ებრაულები არიან ჩვენი უბედურება“.

ამრიგად, ვაგნერის მიერ „თანამედროვე ცივილიზაციის უმნიშვნური სინდისად“ ებრაულობის გამოცხადება ერთგვარი პროლედიად იქცევა იმისათვის, რომ თითქმის ოცდაათი წლის შემდეგ ყველა „უბედურება“ მიზეზად სწორედ ებრაულები დასახელდნენ. რაღა გასაკვირი, თუკი პიტლერის რეჟიმის პერიოდში ნაციონალისტების ეთოდენ სასურველი ანტისემიტური პოზიციისა და გამოათქვამების გამო, (რაც ვაგნერის ტრადიციულ რეჟიმში ერთგვარი ევგენიზმის ნიშნების მატარებელი ფორმულირებით აშკარად შერბილესულად, მაშინ „ანტისემიტურ ჟურნალიზმად“ მოიხსენიება), სწორედ ვაგნერის სახელს ადევს დღემდე ისრაელში ტაბუ.

დაუნერელი კანონის თანახმად, ისრაელში მისი მუსიკალური ნაწარმოებების საჯარო შესრულება თითქმის შეუძლებელია და ამ ტაბუს დარღვევის ნებისმიერი მცდელობა როგორც წესი, გააფთხრებული წინააღმდეგობასა და პროტესტს აწყდება. ამ ნათელი დაფესტურება თუნდაც იმ ხმაურის სიანდლი, რაც ჩვენი საუკუნის დასაწყისში, 2001 წელს დანიელ ბარენბოიმის მიერ ისრაელში ბერლინის საცემშიწო კაპელის გასტროლების დროს ვაგნერისეული „ტრიუსტიანი და იზოდას“ ნაწყვეტის შესრულებას მოჰყვა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ქნესტის აღმზრდელი კომიტეტის რამოდენიმე წევრმა ბარენბოიმის პერსონა ნიხ გრატად გამოცხადება მოითხოვა, ოდნოდ მათ ხმათა უმრავლესობის მოპოვება ვერ მოახერხეს.

ამ ტაბუს დარღვევა გარკვეულწილად მოგვიანებით მიიწე მოხერხდა, როცა 2010 წლის ნოემბერში ისრაელში ვაგნერის პირველი საზოგადოებრივი იქმნა, ხოლო ერთი წლის შემდეგ (2011) კი, ვაგნერის მუსიკის დედაქალაქში, ბაიროთში, ისრაელის ორკესტრმა (Israel Chamber Orchestra) შეასრულა *Siegfried-Idyll*, რასაც ისრაელში კვლავ არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა.


უკვე მრავალი წელია ბარენბოიმის ძალისხმევა მიმართულია კულტურისა და მუსიკის მეშვეობით ურთიერთდაპირისპირებულ ერებს შორის გეტოების დასლევისკენ. პირველ რიგში საუბარია, იმ ისტორიულად მნიშვნელოვან მომენტზე, როცა მან, თავად ებრაელმა, 1999 წელს მეგობართან, ქრისტიან პალესტინელ ლიტერატურათმცოდნესთან, ედვარდ საიდთან, ერთად დღეს ასე კარვად ცნობილი ორკესტრი, „დასავლურ-აღმოსავლური დივანი“ (West-Eastern Divan Orchestra) ჩამოაყალიბა, რომლის სახელწოდება გოეთეს ამავე დასათარგმნებელ გერმანულ ნაწარმოებს, *West-östlicher Divan*, უკავშირდება. ნიშანდობლივია, რომ როდესაც ბარენ-

ბოშიმა და ედგარდ საიდმა, უახლესი ეპოქის ამ ორ-
მა გამორჩეულმა ინტელექტუალმა, მათი პირმშოს
სახელის შერჩევისას გოეთეს შემოქმედებას მიმართ-
ეს, ეს სრულიად გაცნობიერებული ნაბიჯი იყო,
რადგან სამყაროს აღქმის განმანათლებლური უნი-
ვერსალიზმის წყალობით, სწორედ გოეთე აღმოჩ-
ნდა ის ერთ-ერთი პირველი, ვინც შავფეხის საბარ-
სული ლექსის კეთილზნობანება ევროპულ კილოზე
გაიყო და დასავლურ პანზე ააძლერა. მან აღმო-
საგულური პოეზიის მუსიკას არათუ განუმეორებე-
ლი დღერადობა მიანიჭა, არამედ ევროპელთა უდი-
დესი უმრავლესობისაგან განსხვავებით, ორიენტა-
ლზმის ცდუნებასაც გაუძლო და ათასგვარი კლი-
შეებით დახუნძლული კვაზიციონიკრაფიულ-ეგზო-
ტრიკული ფსევდოაღმოსავლური „ჰიბრიდის“ შექ-
მნას და აღმოსავლეთის იმიტირებისას უზიერი ბა-
ლაგანიზაციას (carnival hoochy-kooch) თავი აარიდა,
რასაც ედგარდ საიდის აზრით, თვით გერდის გენი-
ალური „აიდაც“ კი გერ გადაურჩა.

იმის წყალობით, რომ გოეთე აღმოსავლური პან-
გია ფასადურ იმიტაციას კი არ ესწრაფოდა, არა-
მედ აღმოსავლური მელოდიის (თვით ყურანის ტექ-
სტისაც კი) გამოწვევას საკუთარი დასავლური ლექ-
სით უპასუხა, ვიძიარელმა კლასიკოსმა თავის „და-
სავლურ-აღმოსავლურ დივანში“ კულტურათა დი-
ალიზის განუმეორებელი ნიმუში შექმნა. თანაც ამას
ლექსის ისეთი თავებუდამხვევი პოეტური სილა-
ლის, სინატიფის, განუმეორებელი თეოროვანი სიმ-
სებუქისა და პაეროვნების გზით მიაღწია, რომ გან-
ცვიფრებული ჰაინრიხ ჰაინე ერთთავად იმის ახ-
ანას ეძებდა, თუ როგორ იყო საერთოდ შესაძლე-
ბელი გერმანულ ენაზე ამ ყოველივეს მიღწევა.

სწორედ სხვებულის დასავლურ-აღმოსავლური
დიალიზის გაგრძელებას ცდილობს ამავე სახელ-
ნოდების ორკესტრიც, რომლის შემადგენლობაში
შევიდნენ ახალგაზრდა მუსიკოსები ისრაელიდან,
ბალესტინის ავტონომიური რეგიონებიდან, ლიბა-
ნიდან, ეგვიპტიდან, სირიიდან, იორდანიიდან, ირა-
ნიდან, გერმანიიდან, ესპანეთიდან და რომლის სა-
პატიო წევრად ყველა დროის უდიდეს პიანისტად

აღიარებული, მართა არგერინი ითვლება. ამ „მუსი-
სიკის დესპანად“ (Ambassador of Music) წოდებული
ორკესტრის მიერ 2005 წელს რაშალაში გამართუ-
ლი განმარტებული კონცერტი იქცა ახლო აღმო-
სავლეთის კონფლიქტში დაპირისპირებული ერე-
ბის მუსიკის მემკვიდრეობით ურთიერთდახლოების პირ-
ველ სერიოზულ და უნიკალურ მცდელობად. ბეთ-
ჰოვენის მეცხრე სიმფონია ააუღერა 2011 წლის 15
აგვისტოს ჩრდილოეთ კორეის საზღვარზე სამხრეთ
კორეაში საგავსტროლოდ მყოფმა ბარენბოიმმა თა-
ვის ორკესტრთან ერთად. შესაბამისად, ესოდენ
სიმბოლური სახელწოდების მატარებელი ორკეს-
ტრი უკვე აღარ გვევლინება წმინდა მუსიკალურ
(თუნდაც მავანთა მიერ უტოპიურად მიჩნეულ) პრო-
ექტად, გინაიდან ის კარგა ხანია გასცდა ხელოვნე-
ბის საზღვრებს და კულტურათაშორისი დიალოგის
ერთგვარ ფორუმად იქცა. საოცარი გემოვნებით
და ყურმახვილი ალღოთი სრულიად გენიალურად
შედგენილი საკონცერტო პროგრამის წყალობით
კი, მუსიკის ჯადოსნურ სამყაროში, რომელშიც სრუ-
ლიად უჩვეულო, კულტურული სიყრუის მკურნა-
ლი ეთიკა გამეფებულია, ამ მუსიკით გაცხადებუ-
ლი განსაკუთრებული მორალური ხედვის დამსა-
ხურებით, გაერთიანებული აღმონდებიან როგორც
მრავალეროვანი შემსრულებლები, ისე მრავალე-
როვანი მსმენელები. ესაა შესანიშნავი მაგალითი
იმისა, თუ როგორ შეიძლება მსგავს მუსიკალურ -
„ადამიანურ ლაბორატორიაში“ კონსერტოტურისგან
გათავისუფლების შემთხვევაში, მუსიკისა და პო-
ლიტიკის ურთიერთქმედების კონსტრუქციულად
ნარჩარტვა. ბარენბოიმისა და მისი მუსიკოსების
თვის კი ამის ნინაპირობაა - ერთი მხრივ, იმ გუ-
ლურყვილო იდეალიზმისგან დისტანცირება, რომ-
ლის თანახმად, მხოლოდ მუსიკას შესწევს უნარი
დასძლიოს პოლიტიკური კონფლიქტი, მაგრამ ამავე-
დროულად იმის გააზრებაც, რომ მუსიკაა სწორედ
ის განუმეორებელი უნიკალური ფენომენი, რაც
ცალკეულს ერთდროულად თვითგამოხატვის სა-
შუალებასაც აძლევს და სხვის ყურისგდებასაც
ავალდებულებს.



თამარ მჭედლიშვილი

„პერესტროიკის ადამიანი - მოცეკვავე ადამიანი“



„პერესტროიკის ადამიანი-მოცეკვავე ადამიანი“ - ასე ერქვა ქართველი ავანგარდისტი მხატვრების 1989 წელს დაბეჭდილ ერთ-ერთი გამოფენის კატალოგს მოსკოვში.

თუმცა, ყველაფერი გაცილებით ადრე დაიწყო...

საკითხი: ჯერ იცეკვა ადამიანმა და ამან მოიტანა პოლიტიკური გარდაქმნის აუცილებლობა, თუ ჯერ დადგა „პერესტროიკის“ წლები და ამასობაში ადამიანიც აცეკვდა - ქათმისა და კვერცხის თეორიის ევრსიას ნაბაგვს. მაგრამ, მოდო, მიეყვით ქრონოლოგიას. როგორც თავად მხატვრები იხსენებენ, აქტიური პროტესტი საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგ ქართულ სახელოვნებო წრეებში ჯერ კიდევ 70-იან წლებში დაიწყო. ეს იყო პერიოდი, როდესაც ცენზურა მკაცრად აკონტროლებდა ყველაფერს, ხოლო ამის პარალელურად იატაკქვეშა ჯგუფებში განსხვავებული აზრი კონსტრუქტურად ინათლებოდა. ფარული შეხვედრების ინიციატორები თბილისში, თავდაპირველად ფინო წრეში ხედებოდნენ ერთმანეთს. საცხოვრებელ სივრცეში შეკრებილი მეგობრები დისკუსიებს მართავდნენ. საბჭოთა სისტემის პროტესტის პარალელურად აკრძალულ თემებს განიხილავდნენ. განსაკუთრებულ ინტერესს კი ევროპული ხელოვნებადმი იჩენდნენ. ეს იყო თემა, რომლის შესახებ ინფორმაციის მოძიება ჩაკეტილი საზღვრების გამო არცთუ ისე იოლი

საქმე იყო. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირმა მხოლოდ 1988 წლის 29 ნოემბერს შეწყვიტა უცხოეთის რადიოსადგურების დაბლოკვა, დასავლეთის სიახლეები საბჭოთა გისოსებზე ისევ მაღალჩინოსანთა დახმარებით შემოდის და სანაცნობო წრეებში ვრცელდებოდა. დროთა განმავლობაში შეხვედრების მასშტაბები გაიზარდა, სუბრები ევროპულ ხელოვნებაზე მაღე პრაქტიკულ საქმიანობაში გადაიზარდა და აბალი იდეების, ნამუშევრებისა თუ შეხედულებების დემონსტრირებას არაფორმალური გამოფენების სახე მიეცა. კერძო სივრცეში მსგავსი ტიპის დახურული ჯგუფები 70-იანი წლების დასაწყისში თბილისში, მოსკოვში, პოლონეთში, ლიტვაში, ესტონეთში თუ სხვა საკავშირო რესპუბლიკებში ერთმანეთის მიყოლებით აქტიურად გამოჩნდნენ.

ვილნიუსში, ერთ-ერთი პირველი ე.წ. საბინო გალერეა ჯერ კიდევ 1967 წელს სახელმწიფო ნუზუმის თანამშრომლის - ჯულიტა სერინესა და ხელოვანის - ვიტაუტას სერის საცხოვრებელ სახლში გაიხსნა. ჯულიტა ხელოვნების საგამოყენო დარბაზში მუშაობდა. სამი წლის განმავლობაში გალერეაში ანტისაბჭოური კონცეფციის გამო დაწესებული მხატვრებს საკუთარი სახლის სახით ალტერნატიულ საგამოყენო სივრცეს, ასევე საერთაშორისო დონის კოლექციონერებსა და დილერებს



შუამდგომლობას სთავაზობდა. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული გამოფენა, პოეზიის საღამო თუ თავბრუსხვევა წარმოდგენა დახურულ ღონისძიებას წარმოადგენდა, გალერეას დმთავალიერებელი არ აკლდა. თუკი ეთნიკურმა ნორკონფორმისტი ახალგაზრდებს თავმჯდომარის ადგილს საცხოვრებელი სახლი წარმოადგენდა, ესტრადიკაში ფარულ შეხვედრებსა და გამოფენებს კაფე-ბარებში მართავდნენ. სხვა სივრცეებთან ერთად ცნობილი იყო ორი ძირითადი ადგილი: ტარტუს უნივერსიტეტის კაფე და კაფე „პეგასუსი“ ტალინში. ეს უკანასკნელი მწერალთა კავშირის შენობაში იყო განთავსებული. ხშირად იყო შემთხვევები, როდესაც მწერალთა კავშირის პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებდა და ავანგარდული ხელოვნების მოყვარულთა არაფორმალურ გამოფენებზე ეპატივდებოდა. სხვა საინტერესო ღონისძიებებთან ერთად, ამ საგანმანათლებლო სივრცეში სტრატეგიული ორი ყველაზე ლეგენდარული გამოფენა გახსნა. ეს იყო 1969 წლის ექსპოზიცია „სოფ 69“, სადაც ექვსი თანამედროვე პოპ-არტის წარმომადგენელი ხელოვანი გამოიყვანა და მეორე, 1970 წლის 17-23 აგვისტოს, მესამე საერთაშორისო ფინურ-უნგრული დღეების ფარგლებში გამართული გამოფენა, სახელწოდებით „ესტეტიკა, ავანგარდული ხელოვნება“. ორივე შემთხვევაში ღონისძიებებზე მოხვედრა მხოლოდ სპეციალური მოსაწვევე ბარათით იყო შესაძლებელი, რომელიც ფარულად გადადიოდა ხელედიან ხელში. მიუხედავად იმისა, რომ ეს გამოფენები დახურულად ტარდებოდა, 1970 წელს ხელოვანთა უმრავლესობამ ცენტრის გამკაცრების გამო გამოფენაში მონაწილეობაზე მაინც უარი განაცხადა.

ამ პერიოდში სახიფათო იყო თავისუფალი აზრის ღია დიფიზირება ჩეხოსლოვაკიაში, სადაც 1970 წლის 19 ნოემბერს არაფორმალური სივრცის პირველი სახეობა გახსნა ფარულად მოწყობილი ბრატისლავაში. ეს იყო პატარა, მყუდრო ეზოში, ტაქელანს ქუჩა N32 ში მდებარე მხატვრის კერძო სტუდია. გახსნას არატრადიციული გამოფენის „პირველი ღია სტუდია“ ს პრეზენტაცია დაუკავშირეს. ძირითადად წარმოდგენილი იყო რეუოლუციონარული ინიციატივით შეკრებილი 19 ნოემბერის სივრცის ახალგაზრდა ხელოვანი. ექსპონირებულ ნაშუქებში ძირითადად ქარბობდა ტრადიციული ხელოვნების გვერდის ავლითა და სხვადასხვა ექსპერიმენტის შედეგად შექმნილი კომპოზიციები და არტ-ობიექტები. მონვერულ სტუდიებს შორის იერც აქ ნახავდით შემთხვევით გამვლელს. უსაფრთხოების მიზნით ღონისძიება დახურული იყო, მოსაწვევე ბარათზე კი ღონისძიების გახსნის თარიღი საგანგებოდ არასწორად იყო მითითებული, რათა საბჭოთა სათვალთვალო სისტემა შეცდომაში შეყვანათ.

სახელმწიფო უშიშროების სამსახურს ეძალეობდა გიორგი გალანტაიცი უნგრეთში. მის სახელს ე.წ. „სამლოცველო სტუდიის“ გახსნას უკავშირებენ. სახელოსნოს სახელწოდება ადგილიდან გამომდინარე დარქვა, რადგან ახალგაზრდები მართლაც ძველ სამლოცველო შენობაში ხვდებოდნენ ერთმანეთს. სივრცე ქალაქკარზე მდებარეობდა, რაც სახელეო-


ნებო ცენტრს რეზიდენციის ფუნქციას ანიჭებდა, მას ხშირად ალტერნატიული ინსტიტუტის სახელითაც კი მოიხსენიებდნენ. ცენტრში ფუნქციონირებდა როგორც სახელისნოს განყოფილება, ასევე სახალხო-სადისკუსიო სივრცე, სადაც თითოეული მონაწილეს შეეძლო თავისუფლად დაუფიქსირებინა საკუთარი აზრი. სამი წლის განმავლობაში ძველ სამლოცველოში 35-მდე გამოფენა, პერფორმანსი, პეფენინგი, საღამო, კონცერტი, თეატრალური წარმოდგენები და ექსპერიმენტული კინოვინებები მოეწყო. ნაყოფიერი მუშაობის ნიადაგზე მიღებული შედეგით შემინებულმა ხელისუფლებამ, ყოველგვარი შეღავათის გარეშე, „სამლოცველო სტუდიის“ დახურვა ბრძანა.

ამ მხრივ განსხვავებული სიტუაცია იყო მოსკოვში, 1976 წლიდან საბინაო განყოფილება ადგილს ხშირად იცვლებდა, მაგრამ 1974 წლის 15 სექტემბერს, როდესაც საბჭოთა სისტემის მიერ ლია ცისქევს ე.წ. ბუდლიზერის გამოფენა დაარბიეს და იქ დამსწრე საერთაშორისო პრესამ საბჭოთა სისტემა დასაღწეობი აქტიურად გააკრიტიკა, საბჭოთა ხელისუფლებას კომპრომისზე წასვლა მოუწია. 1976 წლის 7 ნოემბერს ავანგარდისტი მხატვრებს მაღალი გრუზინისკია 28 ნოემბრში საგანმანათლებლო სივრცე გადაეცა. ერთი მხრივ, ეს გადაწყვეტილება 1975 წლის 1 აგვისტოს 35 ქვეყანას შორის დადგენულ ჰელსინკის ხელშეკრულებას უკავშირდებოდა. რადგან ჰელსინკის აქტის ერთ-ერთი პუნქტის მეშვეობით ავანგარდისტი უფლებების დაცვას ესწრაფებოდა, საბჭოთა კავშირი იძულებული შეიქნა, დათმობაზე წასულიყო. მეორე მხრივ, არაფორმალური ხელოვნებისათვის გამოყოფილი სპეციალური სივრცე თავად სისტემას აძლევდა მათი უკეთ კონტროლის საშუალებას. სწორედ ამ ორი მიზეზის გამო დანარჩენი 14 რესპუბლიკისგან განსხვავებით, მოსკოვში ავანგარდისტული გამოფენები 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან ნახევრად ლეგალური ფორმით ტარდებოდა. თუმცა შეზღუდვები მაინც არსებობდა: საზოგადოებაში იკრძალებოდა ავანგარდული ხელოვნების პროპაგანდა, ხოლო გამოფენები დახურული უნდა ყოფილიყო. მიუხედავად მსგავსი შეზღუდვებისა, დმთავალიერებელი მაინც ბევრი იყო, გამოფენაზე მოსახვედრად ხალხს საათობით უნევდა რიგში დგომა და ლოდინი. ასეთი შეღავათები არასოდეს არ ჰქონიათ ამის გამო მცხოვრებ ნონკონფორმისტებს. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია 1977 წელს ელისაბეტის ქუჩა 21- ში ახალგაზრდა ანდრეს გრინგერისათვის, შეექმნა განსხვავებული სივრცე. მისი სურვილი იყო სახლი დაგვემოსიო შეკრებები და აქტივობები აკადემიური და საბჭოური კონცეფციისგან სრულიად განსხვავებული ყოფილიყო. მეტიც, იქ შეკრებილი ახალგაზრდების ნაწილი დედიმობილა ატარებდა სხვადასხვა პეფენინგს, პოეზიის საღამოებს, წარმოდგენებს, რომლებიც ეძღვნებოდა ძველი სახლისათვის ახალი სიცოცხლის მიჩენას, ახალი დროის მოსვლას. სიმძლავრე აქ თავისუფლებასა და უმანკობასთან ასოცირდებოდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 70-იანი წლების და-

საწყისში იყო ერთმანეთისგან განსხვავებული დავ-გუფება გამოჩნდა. ეს იყო, ერთი მხრივ, სპონტანური გაერთიანება ორი ახალგაზრდა აბსტრაქციონისტი მხატვრის - გია ეძგვერძისა და ილიკო ზაუტაშვილისა, რომელთა სახელიც საჯარო და ეპატაჟური სახელოვნებო აქციების აქტივს უკავშირდება და, მეორე მხრივ, ხელოვნებათმცოდნე დიმიტრი თუმანიშვილის ხელმძღვანელობით შეკრებილი ახალგაზრდების ჯგუფი, რომელთა შემადგენლობაშიც როგორც მხატვრები, ასევე ხელოვნებათმცოდნეები და არტიტექტორებიც შედიოდნენ. ქართველი ნონკონფორმისტების პირველადი საჯაროდ გამოჩენა ცენტურასთან თამაშით დაიწყო. 1974 წლის 8 მაისს ყოფილი ათარბეგოვის 10 ნომერში გია ეძგვერძისა და ილიკო ზაუტაშვილის ორგანიზებული ახალგაზრდა მხატვრების საგაზაფხულო გამოფენა "ცენტურასთან თამაშის პირველი ეტაპი" იყო. ლონისძიების მონაწილეები და კურატორები სამხატვრო აკადემიის მოქმედი და მომავალი სტუდენტები იყვნენ. გამოფენა ღია იყო ყველა დამთვალიერებლისათვის, თუმცა ამის შესახებ ინფორმაციას არცთუ ისე ბევრი ფლობდა. გამოფენის ორგანიზებაში ჯერ კიდევ გამოუცდელი ილიკო ზაუტაშვილი და გია ეძგვერძე სპონტანურად მოქმედებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ იცოდნენ, მათ ინიციატივას სამხატვრო აკადემიის პროფესორები მხარს არ დაუჭერდნენ, ხელით მოხატული ერთადერთი აფიშა აკადემიის დერეფანში მაინც ჯიუტად გამოაკრეს. რა თქმა უნდა, დაუკითხავად გაკრული განცხადება კათედრის დავალებით სტენდიდან სასწრაფოდ ჩამოხსნეს და გაანადგურეს. გამოფენის კატალოგი კი მხოლოდ მას შემდეგ გამოჩნდა, როცა ჟურნალისტმა საგაზეთო სტატიისათვის ინფორმაცია მოითხოვა. გია ეძგვერძემ, თინა გომელაურმა და ილიკო ზაუტაშვილმა კატალოგი სახელდაწოდებლად შეადგინეს და დაბეჭდეს. კატალო-

გი მანიფესტის ტიპის ტექსტით იწყებოდა, რომლის ავტორი გამოფენის ერთ-ერთი თანამონაწილე, სახატვრო აკადემიის მეზუთე კურსის სტუდენტი, ხელოვნებათმცოდნე მარიამ დიდებულძე იყო. საკმაოდ გაბეჭდილი ტექსტი გაჯერებულია საპროტესტო განცხადებით. სტუდენტი პირდაპირ ამბობს საოქმელს: „გამოფენის მონაწილეებმა თავმდაბლა უარყვეს ხმაშაღალი რეკლამა და მქუხარე ოვაციები. სახელმწიფოეჭილი აკადემიკოსები, ალბათ, არ დაესწრებიან გამოფენის გახსნას და არ დაულოცვენ მათ გზას. პრესა არ აჭერლდება აღფრთოვანებული რეცენზიებით და ეს დღე არ ჩაინერება ღეროს ასოებით ქართული ხელოვნების მატიაზე!“. როგორც კატალოგიდან ვიგებთ, გამოფენას კონკრეტული პროგრამა, რომელიც მონაწილეთა კრედიტით ჩაითვლებოდა, არ გააჩნდა. თუმცა, მთავარი რაც მათ აერთიანებდათ, ორგანიზატორების მიერ მინიჭებული თავისუფლება იყო. თითოეული მონაწილე თვითონ ირჩევდა, თუ რომელ ნამუშევარს გამოფენდა და ექსპოზიციის გადანაწილებაში ყველას შეეძლო მონაწილეობის მიღება. გამოფენილი ნახატების უმეტესობა შექმნილი იყო არა პედაგოგის ზედამხედველობით, არამედ დამოუკიდებლად, როგორც „კლასგარეშე ნამუშევრები“. ვინაიდან ექსპოზიცია გამოფენისათვის უჩვეულო გარემოში, საცხოვრებელ სახლში გაიმართა, 53 ნამუშევარი ოთახში არასტანდარტულად გადანაწილდა. კედლები გადატვირთული იყო ფერწერული ტილოებით, გრაფიკული სერიებითა და დეკორატიული კოლაჟებით, ხოლო ოთახის ნაპირებში ქაოსურად იდგა ქანდაკებები. საცხოვრებელ სახლში დაგეგმილი ლონისძიება სამთავრობო სტრუქტურაში სერიოზულად არ აღიქმეს. როგორც კატალოგის ჩანათვალში ვკითხულობთ, ექსპოზიციამ 22 ხელოვანი მონაწილეობდა. სტუდენტების მიერ დარწყინებული თამაშის პირველი წესის დაცვით, წარმოდგენ-



გია ეძგვერძის სოლო გამოფენა მხატვრის სახლში, 1985 წელი. ფოტო: ქეთი კახანაძე




მარცხენაიდან: ავანგარდისტი პრინციპების გამოყენება ქარავანში, 1988 წელი. ფოტო: ბურა ნიხაზაშვილი

ლი ნამუშევრები ძირითადად აკადემიური სტილით იყო შესრულებული, რაც, ერთი შეხედვით, საბჭოთა ცენზურის კრიტერიუმებს აკმაყოფილებდა. ის ექსპერიმენტები, რომლებზეც ახალგაზრდა ხელოვანები თითქმის ყოველდღე ცენზურისაგან მალულად მუშაობდნენ, ისევე კადრს მიღმა დატოვეს. გამოფენის მასპინძელი მხატვარი გია ებგევრიაძე 1974 წელს ჯერ სამხატვრო აკადემიის სტუდენტიც არ იყო, როდესაც მის საქმიანობაში 1971-72 წლებით დათარიღებული აკვარელში შესრულებული ექსპერიმენტული კომპოზიციები ინახებოდა. ეს სახეობა ავტომატურად შესრულებული ნამუშევრები ძალიან შორს იდგა იმ ნატურმორტიების, პეიზაჟებისა თუ პორტრეტებისაგან, რომლებიც გამოტანილი იყო ათარბეგოვზე გამართულ გამოფენაზე. ამის მიზეზი იყო ის, რომ მონაწილეებისათვის მნიშვნელოვანი იყო არა ექსპოზიციაზე წარდგენილი ნამუშევრები, არამედ გამოფენაზე დამოუკიდებლად მუშაობის პროცესი. აქციების დასაწყისისთვის აქცენტი აკადემიურ მხატვრობაზე სწორი მიმართულება აღმოჩნდა, ამ მიზეზით გამოფენა დასურვალს გადაურჩა, მაგრამ ღონისძიება გახსნისთანავე სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის კონტროლზე აიყვანეს, რადგან სწორედ მსგავსი გადაწყვეტილება, ახალგაზრდებს სახელოვნებო პროექტზე და მოუყოლიდნენ ემუშავათ, თვალყურის დევნას მოითხოვდა.

შთაბეჭდილებების წიგნის მიხედვით ვიგებთ, რომ გამოფენას ერთი კვირის განმავლობაში არა მხოლოდ სტუდენტები და თანატოლები, არამედ იმ პერიოდისათვის ცნობილი ადამიანებიც სტუმრობდნენ. როგორც მონაწილეები იხსენებენ, კინორეჟისორმა ლანა ღოღობერიძემ მათ მომხვედრი ღონისძიებისათვის ალტერნატიული სივრცე კი შესთავაზა და შთაბეჭდილებების წიგნი აღფრთოვანება წერილობით დააფიქსირა. მხატვარმა ზურაბ ნიჟარაძემ კი სურვილი გამოთქვა, ექსპოზიციაზე

გამოფენილი ნამუშევრების დისკუსიაში მიეღო მონაწილეობა. შთაბეჭდილებების წიგნიდან კიდეც რამდენიმე ამონარიდი გაზეთ თბილისში გამოქვეყნებულ სტატიაში, „დასაწყისი“, დაიბეჭდა. ინფორმაციული თვალსაზრისით, აღნიშნული სტატია მნიშვნელოვანი დოკუმენტური მასალაა. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის საშუალებით გამოფენის ვიზუალური რეკონსტრუქცია კი შეგვიძლია. საბოლოო ჯამში, გამოფენის გახსნამ წარმატებით ჩაიარა. დაიგეგმა მომდევნო ღონისძიებებიც. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს უკვე თამაშის წესებს აღარ ექვემდებარებოდა და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მიერ სამიშ ქმედებად შეირაცხა, ამიტომ მეორე არაფორმალური გამოფენა 1975 წელს გახსნიდან რამდენიმე დღეში კომპაგვირელმა აქტივისტებმა დაარბიეს, ხოლო მესამე მცდელობა სახელმწიფოს უშიშროების კომიტეტის, მხატვართა კავშირისა და კულტურის სამინისტროს ჩარევით აღარ განხორციელდა. ყველა მონაწილის მიერ ხელით შექმნილი ავტორიზებული ფიგურები დააპატიმრეს. მიუხედავად სიტუაციისა, ახალგაზრდებმა ფარ-ხმალი არ დაეყარეს და ამავე წელს დაიწყეს მზადება მასშტაბური ალტერნატიული გამოფენის თემაზე. გამოფენის ორგანიზებაში ქართველ ავანგარდისტ მხატვრებთან ერთად მონაწილეობას მოსკოვიდან და სანქტ-პეტერბურგიდან ჩამოსული ხელოვანებიც იღებდნენ: ოსკარ რიბინი, ევგენი (ევნია) რუბინი, ოური ფარკიხი. თბილისში ჩამოსვლისთანავე, სიტუაცია კონტროლს რომ დაექვემდებარებოდა, სახელმწიფო უშიშროების საპეციალური წარმომადგენლები მათ ყველგან თან დაჰყვებოდნენ. მსგავსი კონტროლისა და შევიწროების გამო ჩაფიქრებული გამოფენა ვერ შედგა. ამ მიუხედავად, თავისუფლებისათვის მებრძოლი ახალგაზრდა ხელოვანებისადმი ყურადღება გაამკაცრეს და მათ თითოეულ ნაბიჯსა და გადაწყვეტილებას თვალყურს ადევნებდნენ. ცენზურისათან თამაში



მარჯანიშვილის სახელობის, 1987 წლის ფოტო: გურამ წიბახაშვილი

აღარ ღირდა, საჭირო გახდა მორიგი ღონისძიებების ისევე ფარულად, დაბურულ წრეში გამართვა, რაც ასევე დიდი რისკის შემცველი იყო. ამიტომ გია ებგვერადის და ილიკო ზაუტაშვილის კონცეპტუალურიზმისა და მინიმალისტური ესთეტიკისა და თეორიის საფუძველზე შემუშავებული ერთ-ერთი პირველი მანიფესტი „ინტიმური კონცეპტი“ და „ინტიმური აქცია“ მეგობრების წრეში, საბინაო გამოფენაზე შედგა. ხელისუფლება გრძნობდა საშიშროებას და სიტუაციას მუდმივად აკონტროლებდა. მათ ყველაზე მეტად აწუხებდათ არა მხატვრული ექსპერიმენტები, არამედ განსხვავებული იდეოლოგიის არსებობა, რომელსაც სოციალისტური ესთეტიკის დისკრედიტაცია შეეძლო. ზემოთ ხსენებული მანიფესტი შეიქმნა ლირიკული კონცეპტუალურიზმის თეორიაზე დაყრდნობით, ეს იყო ძიების პროცესი და, შესაბამისად, მთავარი იყო არა შედეგი, არამედ თავად ეს პროცესი: ...ჩვენი აქტიურობა მიმართულია მანკიერი საზოგადოებისა და იდეოლოგიის მიერ თავსმოხვეული პირობითობების დისკრედიტაციისკენ. ბელოვება, რომელიც აღმოცენდა გახსნილობის, თანაგრძნობის და თავისუფალი ქმედების შედეგად, მოვლენათა და საგანთა ტოლფასობა. ხელოვნება აღარ არის ესთეტიკური, მორალური, დამორიგებლური, მოკრძალებული. დღეს იგი მოითხოვს ინტენსიურ გარემოს, აქტიურ პოზიციას" 2. ზემოთ ხსენებული მანიფესტის დახურული პრეზენტაციის შემდეგ მათი ხმაურიანი საჯარო გამოჩენა უკვე 80-იანი წლების დასაწყისისათვის გადაიღო.

ფარული შეხვედრების მეორე ადგილს დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე გიორგი მარჯანიშვილის საცხოვრებელი სახლი წარმოადგენდა, სა-


დაც დიმიტრი თუმანიშვილის ორგანიზებით ხშირად იკრიბებოდნენ ახალგაზრდა ხელოვნები. აქ ისინი განიხილავდნენ როგორც ევროპულ ხელოვნებას, ასევე ქართულ საეკლესიო მხატვრობას და არქიტექტურას, რაც ასევე აკმაყოფილებდა თემა იყო ამ პერიოდისათვის. წინა ჯგუფისაგან განსხვავებით, მეგობრების ამ წრეში, საბელმწიფო კონტროლის თავიდან არიდების მიზნით, მხოლოდ დახურული, არაფორმალური გამოფენები იმართებოდა ერთ-ერთ ღონისძიებაზე, რომელიც 1977 წლით თარიღდება, ახალგაზრდა მხატვრის, ლევან ჭოღოშვილის პირველი სოლო გამოფენის პრეზენტაცია შედგა. რთულია ამ პერიოდში მსგავსი გამოფენის საჯარო ფორმით წარმოდგენა, რადგან ექსპოზიციაზე მისი ახალი ნამუშევრები ბოლშევიკების მიერ განადგურებული ქართველი არისტოკრატების პორტრეტების სერიას წარმოადგენდა. იმ პერიოდისათვის ძველი ფოტოებიდან რეპრესირებულ პერსონაჟების ტილოზე გადმოტანა საკმაოდ თამამი ნაბიჯი იყო და ამ გამოფენის გახმაურებაც თავისთავად ცუდ შედეგებს მოიტანდა. ლევან ჭოღოშვილი ამ თემაზე მუშაობას შემდგომ წლებშიც განაგრძობს. მუშაობის პირველ ეტაპზე მხატვარი ჯერ კიდევ ძიების პროცესშია, ოდნავ ტონირებულ ფონზე მამაკაცის პორტრეტულ-კარიკატურულ ჩანახატებს გვთავაზობს. პორტრეტების დასახატად ხშირ შემთხვევაში ტუშს იყენებს, შავი კონტურები მათ სხეულებსა და ტანისამოსსაც დაუყუევია. ერთი მეხედვით, ჩნდება მთავებდობა, რომელსაც ნამუშევარი დაუსრულებელია. მხატვარი ფიქრის პროცესშია, თითოეული შტრიხი და ხაზი დიდი ფიქრის შედეგად ჩნდება სიბრტყეზე, იგი ცდილობს, აიპოოს

გამოსახვის ის მანერა, რომელიც შავ-თეთრი ძველ ფოტოებთან გადოცხლებული წინაპრების პორტრეტებს ინდივიდუალურობას არ დაუკარგავს. 1980-იანი წლების დასაწყისში არსებული სურათი იცვლება, ლევან ჭოლოშვილის კომპოზიციები უფრო ნეტად აბსტრაქტიზებული და ფერადოვანი ხდება, თუმცა არ იცვლება თემა. ლევან ჭოლოშვილი თავის მრავალფეროვან პორტრეტულ ძეგლი ფოტოგრაფიის მისივე ინტერპრეტაციის გვთავაზობს. გამოფენაზე ნამუშევრები დიდი სიფრთხილით, ფარულად მოიტაცეს. გამოფენა ვინო ნრეში, მეგობრების გარემოცვაში გაიხსნა. მიუხედავად იმისა, რომ ღონისძიებას მხოლოდ სამეგობრო წრე ესწრებოდა, სიტუაცია მაინც საფრთხის შემცველი იყო. საბოლოო ჯამში გამოფენა შედგა და წესდებოდა მშვიდად ჩაიარა.

80-იანი წლების დასაწყისში ქართულ აგანგაზრდულ მხატვრობაში აქტიურობის მეორე ტალღა იწყება. 1984 წელს თბილისის სახელმწიფო მხატვრო აკადემიის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტმა კარლო კაჭარავამ, კვლევითი საქმიანობის პარალელურად მხატვრობა აკადემიაში მეგობარ მხატვრებთან, მამუკა ცეცხლაძესთან, ვალორასა და გოგა მაღლაკელიძესთან ერთად მხატვართა გაერთიანება „არქივარეუსები“ ჩამოაყალიბა. მეგობრები ხან ვალორას, ხან კი კარლო კაჭარავას სახლში ხვდებოდნენ ერთმანეთს. ჯგუფის სახელწოდება ერისტე თეოდორ ჰოფმანის ერთ-ერთი მოთხრობის - „ოქროს ქოთანზე“ პერსონაჟის სახელიდან აიღეს. არქივარეუსი, ანუ სულიერი აუქციონის მცველი, ოთხი მეგობარი მხატვრის ინსპირაციის წყაროდ იქცა. თეოდორის მოძღვრებას გავლენით, მათ მხატვრობაში წინა ფლანგზე სულიერების თემა წამოისწიეს. მათი ნამუშევრები გერმანული ექსპრესიონიზმისა და აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის გავლენით ახალიდანობდა. ქვეყანაში არსებული რეჟიმის გამო ახალგაზრდა მხატვრებმა პირველი გამოფენა ერთ-ერთი მოწაწილის, ვალორას სახლში გამართეს. არაფორმალური ღონისძიება 1984 წელს სამეგობრო წრეში გაიმართა. კარლო კაჭარავამ ჯგუფისთვის მანიფესტიც შექმნა. მანიფესტის ამონარიდები კეთილშობილთა: „მხატვრობა უნდა შეგადგეს უცხო მისტიკურ თამაშს. როცა შენს განკარგულებაშია ლამაზი ხატუნი, რომლებითაც შენთვის სხვებთან ერთად ახალ (ან უკეთ დაფინგებული სამყაროს შესახებ) ნარმოდგენას იქმნი. ფერად და ფორმაც ისევე, როგორც ყველა სხვა სამუშაოზე ამ ხატებში, მშვენიერების გაცხადებისთვის უნდა იყოს მოწოდებული, მხოლოდ ამ ხატების გადმოცემის სურვილი შენთვის ახალ სიცოცხლეს. და როცა ჩვენ კირხენრის სურვილის დარად იმ მიზეზზე ფერად დაფინგებთ, მხატვრობას რომ გვამოუბრებენ, ჩვენ გავუდინებთ ჩვენს მედელბათა უხილავ განმსჯელს ჩვენი კეთილგონიერი სიტყვებით შემკული წიგნი. “3 მიუხედავად იმისა, რომ ლორიას სახლში ისევე მხატვართა ვინო წრემ მოიყარა თავი, 70-იანი წლებისგან განსხვავებით, გამოფენა ოფიციალურად დახურული არ ყოფილა. მასზე მოხვედრა ნებისმიერ უცხოელ ადამიანსაც შეეძლო. რა თქმა უნდა, მთელი საღამო და-

ძახულობა არ განელებულა, რადგან ყველა ვიწრო ბიერებად, რომ ექსპოზიციას გატანილი ნამუშევრები იდუარებს სისტემას ენადადმდეგებოდა. ვალორას ერთ-ერთი კომპოზიციის, სადაც შავ ფონზე თეთრი, მკვეთრი ხაზი „სულიერების გახს“ გამოხატავდა, მიტო თუმაშიშვილი ძალიან გაუკვირვებია, რადგან ასეთი სამიში ნამუშევრების ექსპონირება სახუმარო საქმე არ გახლდათ. ასეთივე პირდაპირი გზავნილი იყო კარლო კაჭარავას ნამუშევრებიც, სადაც მხატვარი სასურათო სიმრთვეზე წარწერების სახით ღიად აფიქსირებდა თავის მოსახრებებს. „არქივარეუსების“ ჯგუფმა 1994 წლამდე რამდენიმე არაფორმალური და ოფიციალური გამოფენის გამართვა მოახერგა. 1985 წლიდან მათ მამუკა ჯაფარიძე შეუერთდათ. არაფორმალური შეხვედრების ციკლი თავად მამუკა ჯაფარიძის სახელწოდებით არაერთხელ მოეწყო. როგორც მხატვარი იხსენებს, „რამზეს შერვა“ -ს სახელწოდებით ცნობილ სტუდიაში გამართული გამოფენები უფრო მეგობრული შეხვედრების ხასიათს ატარებდა. ყველაფერი იყო მარტივად - როდესაც ნამუშევრები გარკვეულ რაოდენობას აღწევდა, იფინებოდა კედლებზე და მათ სანახავედ მათივე მეგობრები სტუმრობდნენ. ასეთ შეხვედრებზე განმეორებული ბალანსის დაცვა არც თუ იდუალებოდა საქმე იყო, რადგან სახელწოდებო წრეში ძირითადად მამაკაცები ჭარბობდნენ, თუმცა იყო სასიყვარულო ურთიერთობებიც, რაც ბიძიად მუშაობის ინსპირაციის მთავარი წყაროც გახდებოდა. ასეთი იყო, მამუკა ჯაფარიძის ერთ-ერთი ნამუშევრების ციკლი, რომელიც სასიყვარულო წერილების სულიერების თემას ეხებოდა. რამდენიმე არაფორმალურ გამოფენაზე მან ეს წერილები ექსპოზიციის სახითაც კი გამოფინა კედლებზე. ჯგუფი „არქივარეუსები“ 1986 წლიდან, პარალელურ რეჟიმში, „მეათე სართლის მხატვრების“ სახელწოდებით მუშაობდა, თუმცა მათ არქივარეუსების ჯგუფის წევრობის სტატუსი 1994 წლამდე მყარად შეინარჩუნეს. ჯგუფის დამლის მიზეზი კი კარლო კაჭარავას მოულოდნელი გარდაცვალება გახდა.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ცნეზურა შესუსტდა და პოლიტიკური ვითარებაც შეიცვალა. 1985 წელს მიხეილ გორბაჩოვმა და მისმა მომხრებმა „პერესტროიკის“ პოლიტიკა დაიწყეს. საზოგადოებაში გაიზარდა პოლიტიკური აქტიურობა, ჩამოყალიბდა მამობრივი, მათ შორის ეროვნული მოძრაობები და ორგანიზაციები. გააქტიურდნენ სახელოვნებო წრეებიც. დისიდენტმა მხატვრებმა „პერესტროიკის ადამიანი“-ს როლი მოიარეს და იატაკქვეშა შეხვედრებიდან დღის სინათლეზე გამოვიდნენ. ერთ-ერთი ასეთი ახალგაზრდა მხატვართა ჯგუფი, 1986 წელს სამხატვრო აკადემიის მეათე სართულზე, პატარა სახელწოდებით იკრებოდა. სახელწოდებაც აქედან მიიღეს: „მეათე სართულის მხატვრები“. თავდაპირველად სპონტანურად თავშეყრილი მეგობრები დისკუსიებს მართავდნენ, ევროპულ ხელოვნებაზე საუბრობდნენ და სამხატვრო აკადემიაში დამკვიდრებული სწავლების მეთოდებისგან დამოუკიდებლად მუშაობდნენ, ატარებდნენ უამრავ ექსპერიმენტს. მალე მეათე სარ-



მიათხარ სართულს მხატვრის ბაიოფინა მინიკაძის გალერეაში (რუსეთის ფედერაციაში) მუზეუმი

1988 წელი, ფოტო: გუგუშვილი

თულის სახელისად გადაიქცა შემოქმედებით სივრცედ, სადაც უამრავი ტილოსა და მოლბერტის გვერდით, ზეთის საღებავებისა თუ სხვა ტრადიციული სამხატვრო საშუალებების პარალელურად, მუყაოზე სამუხრუნო საღებავებით შესრულებულ სხვადასხვა ფიგურაციულ და აბსტრაქტულ კომპოზიციას ქმნიდნენ. იყენებდნენ შერეულ მასალასაც და პროტესტის უკეთ გამოხატავად ხშირად უზარმაზარი ფორმატის ნამუშევრების ზედაპირს წვავდნენ და ჭრიდნენ კიდეც. მათი შემოქმედების მთავარი მამოძრავებელი ძალა ევროპიდან დაფარული გზებით შემოსული ინფორმაციის ნაკადი იყო. თუ 80-იანი წლების დასაწყისში ჯუფის წევრები გერმანული ექსპრესიონიზმის, ნეოექსპრესიონიზმისა და აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის გავლენით მუშაობდნენ, მეორე ნახევარში მათთვის ავტორიტეტური მხატვარი და პერფორმერი იოზეფ ბოისი და გაერთიანება „ფლუქსუსი“ ხდება. სამხატვრო აკადემიის მეთაურ სართულიდან ჯგუფი რამდენიმე თვეში მარჯანიშვილის სახელისწილი გადადის და ფერწერული ნამუშევრების პარალელურად ქართულ სივრცეში პირველი არტ ობიექტების - ინსტალაციის სერიები ჩნდება. პოლიტიკური გარდაქმნის პარალელურად ხელოვნებაში ახალი ფორმებისა და მედიის ძიებაც აქტიურ ფაზაში შედის და უკვე 80-იანი წლების ბოლოს ფერწერისა და ინსტალაციის გვერდით, პერფორმანსისა და ზეგუნინგის თემა იხვეჭს პოპულარობას. მხატვრები გალერეებიდან გამოდებიან და მოქმედებას საზოგადოებრივ სივრცეში იწყებენ, ცდილობენ აქტიური კონტაქტი დაამყარონ მაყურებელთან. ქართული ავანგარდული ხელოვნების ისტორიაში ჯგუფი „მეთაურ სართულის მხატვრები“, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ხელოვნათა გაერთიანება იყო, რომლის სახელსაც, 80-90-იან წლებში, თოთხმეტამდე გამოფენა უკავშირდება, როგორც თბილისში და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში, ასევე აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპაშიც. ამ პერიოდისათვის ჯეჟინის ჩაეტილი სახელოვნების გადაცემის ახერხებენ „პერსპექტივის“ სხვა მხატვრებიც. თავდაპირველი გამოფენების ორგანიზება და მხატვართა ინდივიდუალური

მიმართულება, საზღვრებს მიღმა მოქმედი გალერეებისა და დიანტერესებული პირების უშუალო ჩარევით ხერხდება. 1988 წლიდან კი სიტუაცია იცვლება, ოფიციალური მოსკოვი კონგრესი პოლიტიკური წამყვანი კოლექციონერებისა და სპეციალისტებისათვის სოტის ინტერნაციონალურ აუქციონს: „რუსული 1920-იანი წლების ავანგარდი და თანამედროვე საბჭოთა ხელოვნება“ თავად მართავს, რაც მხედველს შუენი საბჭოთა ხელოვნება, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე გაივდეს საერთაშორისო ბაზარზე. ფაქტია, რომ „პერსპექტივის“ ადამიანი უკვე თავისუფლებისათვის ცეცხლს იწვეს, მაგრამ დამოუკიდებელი ის მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, 1991 წლის 25 დეკემბერიდან ხდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „კარლო კაჭარავა, სტატები“; ტომი I; გამოცემული: ოთარ ყარაბაშვილი, 2006, თბილისი
2. ჟურნალი: „ტაბულა Art“, გამოცემა N1; ზაფხული, 2011 წელი;
3. „კონტრკულტურა საქართველოში 1960/80-იანი წლები“; ავტორები: მადე ნულოია, ლიკა ნადარაია, ილიკი ზაფხული; ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2000, თბილისი
4. ვაზილი „თბილისი“, სტატია „საინტერესოს იქით...“ ავტორი: ოსტე ჭუმბურიძე; სექტემბერი, 1985 წელი
5. Человек перестройки, танцующий человек: А. Банделадзе, Л. Ласареншвили, Г. Эдгвардзе: живопись: каталог выставки / Всеобщая творч.пр-ция, об-ние „Центр худож. культуры“. - Москва: [б. в.], 1989. - [15] с. - Б. ц.
6. ციტატა N1 - „კატალოგი, ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება“ - 1974 წელი; კატალოგის ავტორი: თინა გომელაური, კია ედგვარიძე და ილიკი ზაფხული; სტატის ავტორი: მარიამ დიდუღულიძე; გვ. 2 - გამოუქვეყნებელი
7. ციტატა N2- ჟურნალი: „ტაბულა Art“, ზაფხული 2011 წელი; N1. სტატია: „ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვები უახლესი რწება, ილიკი ზაფხული“; სტატის ავტორი: მეგი მელანიძე; გვ. 74.
8. ციტატა N3 - კარლო კაჭარავას პირადი დღიურის ჩანაწერები - გამოუქვეყნებელი.
9. ინტერვიუ: მამუკა ჯაფარიძე, კია ედგვარიძე, კია ლორია, გურამ ნიზაბაშვილი, ქეთი კაპანაძე, ზურაბ სუბმაძე - გამოუქვეყნებელი.



ნაციონალური
ბიბლიოთეკა

ნა შიძლება ყოფილიყო თქვენი ჩაქნება

ტელ: 577 747-719
ელ-ფოსტა: info@arilimag.ge

09/136

